# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 12 თებერვალი. 2024 წ. №17 (9697) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


ზაალ ანჯაფარიძე:

## მიშას პოლიტიკური მომავალი არა აქვს!





3

თუ ზურაბიშვილი ავანტიურისტ, კრიმინალ სააკაშვილს შეიწყალებს, „ქართული ოცნება“ მას მეორე დღესვე უკან შეაბრუნებს!

## ინებოს ღმერთმა, თქვენი მოღვაწეობა იყოს მშვიდობის, კეთილდღეობისა და შემდგომი წარმატებების მომტანი საქართველოსთვის



„ბატონო ირაკლი, გულითადად გილოცავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას.

კარგად მოგეხსენებათ, ეს მეტად საპატიო თანამდებობაა და, ამასთან, დიდი პასუხისმგებლობაც, მით უმეტეს ჩვენს რთულ დროს.

ინებოს ღმერთმა, თქვენი მოღვაწეობა იყოს მშვიდობის, კეთილდღეობისა და შემდგომი წარმატებების მომტანი საქართველოსთვის.

გისურვებთ ღვთის მფარველობასა და შეწევნას ჩვენი ერისა და ქვეყნის სამსახურად“!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

## ინალ არძინბა: უკან 1937-ში



5

ახლადგამომცხვარმა „საგარეო საქმეთა მინისტრმა“ ინალ არძინბამ თავისი დიპლომატიური კარიერა საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრი კრიტიკით დაიწყო. იგი რეგულარულად იბარებდა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს „სამინისტროს“ მედიაცენტრში და საყვედურობდა იმ პროექტების გამო, რომლებიც, მისი აზრით, „საფრთხეს წარმოადგენენ ეროვნული უსაფრთხოებისთვის“ და „აფხაზეთში გავლენის აგენტურის ჩამოყალიბებაზე არიან მიმართული“... „მინისტრმა“ იმ მოქალაქეთა სიაც კი მოითხოვა, რომლებიც გაეროს სააგენტოებთან თანამშრომლობენ.

უინსტონ ჩერჩილი:

## დემოკრატია მმართველობის უსაზიზღრესი ფორმაა!!!



ზურაბ ცუცქირიძის წერილი

იხ. 6-7 გვ.

მეუფე შიო მუჯირი:

## სინდისი მნიშვნელოვანი ღირებულებაა!



**უფალი გვასწავლის, რომ მნიშვნელოვანი ღირებულებები არსებობს, ეს არის სინდისი, ეს არის სიყვარული და გულმოწყალება. ზოგჯერ შეიძლება, ადამიანი იურიდიულად მართალი იყოს, მაგრამ სინდისთან მიმართებით ძალიან სცოდავდეს, უფალი სწორედ ამიტომ მობრძანდა დედამიწაზე, რომ ადამიანებში ეს სინდისი აღზარდოს,** – ამის შესახებ საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ (მუჯირი) სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას აღნიშნა.

**„ძვირფასო მამებო, ძმებო და დებო, გილოცავთ დღევანდელ კვირა დღეს და გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევას.**

**დიდი მარხვის მოსამზადებელ პერიოდში ყოველთვის იკითხება ზაქე მეზვერის შესახებ ეპიზოდი სახარებიდან, რომელიც დღეს წაკითხული იყო ჩვენს ტაძარში. ამ ადამიანს წმინდა ეკლესია წარმოგვიდგენს, როგორც ღმერთისკენ სწრაფვის მაგალითს და გვასწავლის, რომ, აი, როგორც ზაქე მიისწრაფოდა მაცხოვრის დანახვისკენ, მასთან შეხვედრისკენ, ასევე ჩვენც უნდა ვისწრაფოდეთ უფალთან შეხვედრისა და მისი დანახვისკენ“.**





8

## „ოპერაცია პუშკინი“

## როცა სწავლა ძირშიც მწარეა და... კენწეროშიც!



იხ. 4-7 გვ.

დონალდ ტრამპი:

## ჯო ბაიდენი „მენტალურად კატასტროფულ“ მდგომარეობაშია!



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი **დონალდ ტრამპი ჯო ბაიდენის** მიერ საიდუმლო დოკუმენტების არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ საქმეს გამოეხმაურა. ტრამპის თქმით, **ბაიდენი „მენტალურად კატასტროფულ“ მდგომარეობაშია.**

ამის შესახებ ტრამპმა სამხრეთ კაროლინაში 2024 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის მსვლელობისას განაცხადა. რაც შეეხება საიდუმლო დოკუმენტების საქმეს, ტრამპის თქმით, მასსა და ჯო ბაიდენს შორის ის განსხვავებაა, რომ ბაიდენმა დოკუმენტები მაშინ წაიღო, როდესაც სენატორი იყო, ხოლო ტრამპის შემთხვევაში, ის პრეზიდენტი იყო და პრეზიდენტის ჩანაწერების შესახებ კანონი აძლევდა ამის საშუალებას. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის თქმით, ეს ქეისი მიანიშნებს, რომ ქვეყანაში შერჩევითი სამართალია.

**სამხრეთ კაროლინაში გამოსვლისას ტრამპმა ბაიდენი მოიხსენია, როგორც თაღლითი ჯო. სპეციალურმა პროკურორმა, რომელიც ჯო ბაიდენის მიერ საიდუმლო დოკუმენტების არასათანადო მოპყრობის საქმეს იძიებს, 9 თებერვალს განაცხადა, რომ პრეზიდენტს მეხსიერების პრობლემები აქვს.**



# გაუმაძღარი ღორები ფარმაცევტულ კომპანიებს შეესივნენ!!!

## 8 ფარმაცევტული კომპანიის მიმართ მოკვლევა კიდევ ერთ საქმეზე დაიწყო

### კომპანიები მედიკამენტების რეალიზაციას იმპორტის ფასთან შედარებით 1000%, 2000% და 3000%-იანი ფასნამატით ახდენდნენ

**საქმე ეხება სამინისტროს მიერ გასული წლის დეკემბერში გასაჯაროებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც ფარმაცევტული კომპანიები მედიკამენტების რეალიზაციას იმპორტის ფასთან შედარებით 1000%, 2000% და 3000%-იანი ფასნამატით ახდენდნენ.**

კონკურენციის სააგენტო დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტს 8 ფარმაცევტული კომპანიის მიმართ სწავლობს. სააგენტო დაადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი კომპანიების მხრიდან არასამართლიანი ფასის ან სხვა, არასამართლიანი სავაჭრო პირობების ფიქსირებას. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ აღნიშნულ მედიკამენტებზე რეფერენტული ფასწარმოქმნის მექანიზმი უკვე გაავრცელა, რის შედეგადაც წამლების ფასი შემცირდა.

**შეგახსენებთ, რომ კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ ჯანდაცვის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე კიდევ ერთი საქმის მოკვლევა დეკემბრის ბოლოს დაასრულა. მოკვლევის შედეგად დადასტურდა, რომ ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან ადგილი ჰქონდა შეთანხმებულ ქმედებასა და კონკურენციის კანონმდებლობის მძიმე ფორმის დარღვევას. კერძოდ, „პსპ ფარმამ“, „ავერსმა“, „ფარმადეპომ“, „ჯიპისიმ“ და „მერმისმა“ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე ერთი თეთრის სიზუსტით იდენტური ფასები განსაზღვრეს. კონკურენციის სააგენტომ სამართალდამრღვევი ფარმაცევტული კომპანიები 52 797 934 ლარით დააჯარიმა.**

# სამაჩაბლოელ ოსებს ძალიან ჭკვიანი აგენტი-ძროხები ჰყოლიათ!

## ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება დანარჩენ საქართველოში გადმოსულების დასაშინებლად პროპაგანდისტულ ხერხებს იყენებს

**ცხინვალის ოკუპირებული რეგიონიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ხშირად გადმოჰყავთ.** ამის გამო დე ფაქტო ხელისუფლება შეშფოთებას გამოთქვამს და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს ე.წ სასაზღვრო კანონმდებლობის დარღვევაში ადანაშაულებს.

**„ბოლო დროს გაიზარდა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის შინაური ცხოველების საქართველოს ტერიტორიაზე გადაყვანის და საძოვრებზე გაშვების შემთხვევები, რაც ქმნის ცხოველების დაავადებების და პათოგენების საპირისპირო მიმართულებით გადატანის რისკებს“,** – ნათქვამია დე ფაქტო უწყების განცხადებაში.

ამ განცხადებიდან ჩანს, რომ დე ფაქტო უწყება დანარჩენ საქართველოში გადმოსულების დასაშინებლად პროპაგანდისტულ ხერხებს იყენებს და მოსახლეობას იმ ინფორმაციას აწვდის, რომ თითქოს ქართული სოფლების მიმდებარე საძოვრები დაბინძურებულია და იქიდან ცხოველთა დაავადების გადატანა ცხინვალის რეგიონშია შესაძლებელი. არადა, რეალური მიზეზი ისაა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეები ხშირად ე.წ გამშვები პუნქტების გვერდის ავლით, შემოვლითი გზებით საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე გადმოდიან და ამგვარად დროს და ხარჯებს ზოგავენ.

ისინი თბილისის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე ჯანდაცვის სერვისების მისაღებად, სავაჭროდ და ნათესავების მოსანახულებლად მიდიან.




# საკადრო ცვლილებები თავდაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებში

**მინისტრების თანამდებობებზე დანიშვნის შემდეგ საკადრო ცვლილებები ორ სამინისტროში – თავდაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროებში განხორციელდა,** – ამის შესახებ ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური ავრცელებს.

ახლად დანიშნული თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ჩიქოვანის მოადგილე გიორგი ხაინდრავა **სერგო ჯანელიძემ ჩაანაცვლა.** თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის პოზიცია დატოვა ლელა ჩიქოვანმა და მოადგილემ – გიორგი ბუზუნაურმა.

„ირაკლი ჩიქოვანის მოადგილეების პოსტებზე მუშაობას განაგრძობენ **დავით სუჯაშვილი** და **გრიგოლ გიორგაძე.** პირველი ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ლევან დავითაშვილის პირველი მოადგილე რომეო მიქაუტაძე **ნინო ენუქიძემ** ჩაანაცვლა, რომელიც მანამდე მოადგილის თანამდებობას იკავებდა. ლევან დავითაშვილის მოადგილეების პოსტებზე მუშაობას განაგრძობენ: **მარიამ ქვრივიშვილი, გენადი არველაძე, გურამ გურამიშვილი, ირაკლი ნადარეიშვილი** და **ვახტანგ ცინცაძე**“.

# აჭარაში მეწყერი 100-ზე მეტ სოფელში განვითარდა!

**უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილია 200-ზე მეტი ოჯახი. გეოლოგიური დასკვნების შემდეგ მოხდება ამ ოჯახების თანამედროვე, უსაფრთხო საცხოვრისით დაკმაყოფილება,** – ამის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ განაცხადა.

**„შეფერხებები იყო შიდასახელმწიფო და შიდასასოფლო მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე. დღეისთვის, გოდერძიმდე სრულად არის აღდგენილი შიდასახელმწიფოებრივ გზაზე მოძრაობა“,** – აღნიშნა თორნიკე რიჟვაძემ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებს გაეცნო. უხვი ნალექის შედეგად განვითარებულ მეწყრულ პროცესებს მაღალმთიან აჭარაში ორი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

# ღვინის ეროვნული სააგენტო: სახელმწიფოსთვის პრიორიტეტია, ქართული ღვინის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს

**საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, „ღვინის ეროვნული სააგენტოს“ შესაბამისი სამსახურები ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებენ,** – ამის შესახებ აღნიშნულია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, 2023 წელს სახელმწიფო კონტროლი და სახელმწიფო ზედამხედველობა, რაც საწარმოებში ღვინის ტექნოლოგიური პროცესის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს, 59 კომპანიაში განხორციელდა. აღებულ 286 ნიმუშიდან დარღვევა 49-ში აღმოჩნდა.

„საანგარიშო პერიოდში, ინსპექტირება 66 კომპანიაში განხორციელდა; აღებული 1 332 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 51-ში. ამასთან ერთად, საერთაშორისო აუდიტორული კომპანიების „SGS“ და „Bureau Veritas“ მიერ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში ინსპექტირება 74 კომპანიის პროდუქციაზე განხორციელდა. აღებული 601 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 27-ში. ინსპექტირების პროცესი სერტიფიცირებისათვის წარდგენილი ალკოჰოლიანი სასმლის ნიმუშის ლოტთან შესაბამისობის დადგენას გულისხმობს.

**საექსპორტო ალკოჰოლიანი სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 289 დეგუსტაცია ჩატარდა. სულ შემოვიდა 1 3091 ნიმუში; აქედან, 12 584 ნიმუში შეფასდა დადებითად, 507 – უარყოფითად.**

**ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის გაძლიერების მიზნით, 2023 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილება ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციისთვის განკუთვნილი, საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების სავალდებულო სერტიფიცირების შესახებ. 2023 წელს ადგილობრივი ბაზრისთვის გაცემულია 7 874 სერტიფიკატი. 2024 წელს ადგილობრივ ბაზარზე, სარეალიზაციო პუნქტებში, ინსპექტირების პროცესი კიდევ უფრო აქტიურად განხორციელდება“,** – აცხადებენ სააგენტოში.

# რესპუბლიკური საავადმყოფოს თანამშრომლებისთვის კომპენსაციების გაცემა დაიწყო

**კლინიკის 250-მდე თანამშრომელმა სამინისტროს მიერ შეთავაზებული საკომპენსაციო პაკეტი უკვე აირჩია და შესაბამისი შეთანხმებით დაადასტურა.**

რესპუბლიკურ საავადმყოფოში გრძელდება კონსულტაციები ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებსა და კლინიკის თანამშრომლებს შორის. მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე შეხვედრები ყოველდღიურ რეჟიმში იმართება. პარალელურად, აქტიურად გრძელდება შენობის ფასადის დემონტაჟი, რომელიც, სამხარაულის დასკვნის მიხედვით, მწვავე ავარიულია და გადაუდებლად დემონტაჟს ექვემდებარება.

რესპუბლიკური საავადმყოფოს ბაზაზე ახალი მრავალპროფილური მაღალტექნოლოგიური და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კლინიკა მოეწყობა, რომელიც ყველა ძირითად სამედიცინო მიმართულებას უზრუნველყოფს. კლინიკაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის უფლებები იქნება სრულად დაცული. რესპუბლიკური საავადმყოფოს თითოეული თანამშრომელი უზრუნველყოფილი იქნება დასაქმების ალტერნატიული შეთავაზებით თუ ღირსეული კომპენსაციით.





„არჩევნებამდე, მთავრობაში შესაძლოა საკადრო ცვლილებები კიდევ მოხდეს - ვფიქრობ, ეს არის კობახიძისთვის ერთგვარი გამოსაცდელი პერიოდი“

# მიშას პოლიტიკური მომავალი არა აქვს!

## ზაალ ანჯაფარიძე: თუ ზურაბიშვილი ავანტიურისტ, კრიმინალ სააკაშვილს შეიწყალებს, „ქართული ოცნება“ მას მეორე დღესვე უკან შეაბრუნებს!

**– პრემიერის თანამდებობა ირაკლი კობახიძისთვის არის ერთგვარი გამოწვევა და ამავე დროს შესაძლებლობაც. მას აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებში ადრე არასდროს უმუშავია და ამ მხრივ გამოცდილება არა აქვს, მაგრამ მას აქვს პარტიული მშენებლობის ორგანიზატორული ნიჭი და ვნახოთ, რამდენად გამოადგება ეს უნარები პრემიერ-მინისტრის რანგში, რადგან პრემიერად მუშაობას თავისი სპეციფიკა აქვს. კობახიძეს მთავრობის გუნდში იგივე ხალხი ჰყავს, ვისთანაც ის მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებოდა, როდესაც პარტიის თავმჯდომარე იყო. უცხო გარემო მას არ დახვდება“, – ასე შეაფასა პოლიტიკის ექსპერტმა ზაალ ანჯაფარიძემ ირაკლი კობახიძის ახალ პრემიერ-მინისტრად დამტკიცება.**



**– არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნებამდე დარჩენილ 8 თვეში, მთავრობაში საკადრო ცვლილებები კიდევ მოხდეს. ვფიქრობ, ეს არის კობახიძისთვის ერთგვარი გამოსაცდელი პერიოდი, რომ მან თავი აჩვენოს მის ახალ ამპლუაში და როგორ აჩვენებს, ამას ჩვენ დავინახავთ მისი მოღვაწეობიდან 100 დღის შემდეგ.**

**– თქვენ ახსენეთ მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები. ვინ შეიძლება შეიცვალოს?**

– ასე იდენტიფიცირება შესაძლოა გამიჭირდეს, ვინ შეიძლება შეიცვალოს. ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, რომელი მინისტრი როგორ გაუძღვება თავის საქმიანობას, შექმნის თუ არა პრობლემებს მისდამი მინდობილ სფეროში. მაგალითად, ამ მეწყერთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი კითხვა წარმოიშვა, თუ რატომ ვერ მოხერხდა პრევენციული ზომების მიღება და ა.შ. არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული საკადრო ცვლილებები განხორციელდეს, თუმცა ეს არ არის აუცილებელი. ნათქვამია, გადასასვლელზე ცხენებს არ ცვლიანო. ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული, შეთამაშებული სამთავრობო გუნდი და მთავარი საზრუნავი კობახიძისთვის იქნება არა მხოლოდ მთავრობის გაძღოლა ამ 8 თვეში, არამედ არჩევნებისთვის მზადება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ეს არჩევნები მოიგოს. მთელი ძალისხმევა მიმართული იქნება ამისკენ და თუკი რომელიმე მინისტრის საქმიანობაში ისეთი ხარვეზები აღმოჩნდა, რომელიც შეუთავსებელი იქნება პარტიის მთავარ პოლიტიკურ მიზანთან, არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი რამ მოხდეს.

**– ირაკლი კობახიძემ დაასახელა საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, – მისი თქმით, „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებზე აიღებს 60%-დან 70%-მდე. თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენ პროცენტს აიღებს მმართველი პოლიტიკური ძალა არჩევნებზე?**

– მაშინ, როცა არჩევნებამდე ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი დრო არის დარჩენილი, პროგნოზების გაკეთება არაპროფესიონალურია, რადგან არჩევნებამდე ამ დარჩენილ თვეებში შეიძლება ბევრი რამ მოხდეს ქვეყანაში, მათ შორის ისეთი კატაკლიზმები, რომლებმაც შესაძლოა, ამოაყირაოს ვითარება. შეცვალოს ხალხის განწყობები და პოლიტიკური სიტუაცია. თუმცა, ფაქტია, რომ ხვალ არჩევნები რომ ტარდებოდეს, „ქართული ოცნება“ ნამდვილად აიღებდა საკონსტიტუციო უმრავლესობას, ისეთ მძიმე ფორმაში არის დღეს ოპოზიცია, მაგრამ რა მოხდება მომდევნო თვეებში, ამის განჭვრეტა რთულია. „ქართული ოცნების“ ერთადერთი ამოცანა ახლა უნდა იყოს ის, რომ მაქსიმალურად დააზღვიოს ყველა შესაძლო რისკი, რაც შეიძლება ოპოზიციამ სათავისოდ გამოიყენოს.

**– დასავლეთის კურსზე რას მეტყვით? ოპოზიცია საუბრობს, რომ ირაკლი კობახიძის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში, დასავლურმა კურსმა შესაძლოა მხარე იცვალოს...**

– მე არ მგონია, რომ რადიკალური ცვლილება მოხდეს. ვიცით, სამთავრობო პროგრამის ხმამაღალი სათაური, „გზა ევროპული ინტეგრაციისკენ.“ ეს თავისთავად არის გათვლილი, როგორც შიდა, ისე გარე აუდიტორიისთვის, რომ ქვეყნის პროევროპული კურსი უცვლელი დარჩება. ირაკლი კობახიძე პრემიერ-მინისტრის რანგში, პირველ ვიზიტს ბრიუსელში ახორციელებს, სადაც საუბარი იქნება ევროატლანტიკურ ინტეგრაციის თემაზე.

ამასთან, ალბათ, საზოგადოება შეამჩნევდა, რომ ხელისუფლების და პარტიის წარმომადგენლების მხრიდან მნიშვნელოვნად იკლო ანტიევროპულმა, ხისტმა რიტორიკამაც. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, მოხდეს ევროპასთან ქვეყნის წევრობაზე მოლაპარაკებების გახსნა, რაც იქნება კიდევ ერთი, დამატებითი პოლიტიკური აქტივი „ქართული ოცნებისთვის.“ ამით კი, ოპოზიციას არაფერს უტოვებს ხელში, როგორც არგუმენტს.

თუმცა, იქ არის გარკვეული ნიუნანსები, რამაც შესაძლოა ევროპასთან წინააღმდეგობა შექმნას. ეს განსაკუთრებით ეხება სასამართლო სისტემას და იუსტიციის საბჭოს დაკომპლექტებას, რაზეც „ქართულ ოცნებას“ აქვს დიამეტრალურად განსხვავებული პოზიცია, ვენეციის კომისიის რეკომენდაციასთან დაკავშირებით. ასეთმა ნიუანსებმა შესაძლოა გარკვეული პრობლემები შექმნას, მაგრამ არ მგონია, რომ ამან ხელი შეუშალოს პროცესს.“

**– ასევე მინდა შევეხოთ მოქმედი პრეზიდენტის და ყოფილი პრეზიდენტის განცხადებებს. პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ერთგვარი შეთავაზება გააკეთა, ერთობლივ პლატფორმასა და ოპოზიციასთან მოლაპარაკებებზე. ასევე სააკაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ოპოზიცია უნდა შეჯერდეს პრეზიდენტობის ერთიან კანდიდატზე. თითქოს ერთგვარად მიანიშნა სალომე ზურაბიშვილზე და თქვა, რომ მან იცის ეს კანდიდატი ვინ შეიძლება იყოს დღეს. რამდენად არის შესაძლებელი ოპოზიციის და პრეზიდენტის ერთგვარი გაერთიანება მოხდეს და ვიხილოთ ზურაბიშვილი ოპოზიციის პრეზიდენტობის კანდიდატად?**

– ეს სცენარი ბოლომდე გამორიცხული არ არის, მაგრამ რამდენად შესრულდება, ეს სხვა საკითხია. იმისათვის, რომ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდეს, ჯერ ოპოზიციამ არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს, რისი ნიშნებიც ჯერჯერობით არ იკვეთება. ამასთან, სააკაშვილის განცხადებები ბევრს არაფერს ნიშნავს. მართალია, ის ყოფილი პრეზიდენტია, სტატუსიც აქვს, რომ ის არის „ნაცმოძრაობის“ დე ფაქტო ლიდერი, მაგრამ ის არის უკრაინის მოქალაქე და ქართულ პოლიტიკაში ჩარევის არანაირი უფლება არა აქვს. როგორც ჩანს, ხელისუფლება აძლევს სააკაშვილს იმის საშუალებას, რომ ასეთი განცხადებები გააკეთოს და პოლიტიკურად იაქტიუროს. შეიძლება ეს „ქართული ოცნების“ გათვლილი ნაბიჯია, რომ სააკაშვილის სახით საფრთხობელა დაუსახოს საქართველოს ამომრჩეველს.

რაც შეეხება კითხვას პლატფორმის შექმნასთან დაკავშირებით, მისი მიზანია, ხელი შეეწყოს ევროპულ ინტეგრაციას. იგივეს გაკეთება არის შესაძლებელი სამუშაო ჯგუფებში და საპარლამენტო კომიტეტებზე. ზურაბიშვილი ამით ცდილობს საკუთარი როლის წარმოჩინებას, რომ ევროინტეგრაციის პროცესში მას ეკუთვნის მთავარი როლი და ამ ინიციატივით ზეპარტიული ლიდერის მანტიის მორგებას ცდილობს.

**– ბოლო ხანს კიდევ ერთხელ გააქტიურდა მიხეილ სააკაშვილის შესაძლო შეწყალების საკითხი. ზურაბიშვილის პრეზიდენტობის ბოლო წელს, ყოფილი პრეზიდენტის შეწყალება იქნებოდა ერთგვარი რევანში „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ. როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილი წავა ამ ნაბიჯზე?**

– ამის შანსები არის 50-50-ზე. ზურაბიშვილი მთლიანად არის დამოკიდებული იმ მითითებებზე და ინსტრუქციებზე, რასაც ის გარე ძალებიდან იღებს. შესაბამისად, თუ ის მიიღებს მითითებას, რომ შეიწყალოს სააკაშვილი, შეიწყალებს. მან კარგად იცის, რომ სააკაშვილის შეწყალებისთვის მას რაიმე ლეგიტიმური საფუძველი არა აქვს. სასამართლო პროცესი გრძელდება, განაჩენები არ დამდგარა და თუ გადადგა ეს ნაბიჯი და შეიწყალა, „ქართულ ოცნებას“ შეუძლია სააკაშვილი ისევ ციხეში შეაბრუნოს. პრეზიდენტის ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლარიზაციის კიდევ უფრო გაღრმავებას და დესტაბილიზაციას. არ მგონია, ეს მის ინტერესებში შედიოდეს.

**– ვის გულისხმობთ გარე ძალებში?**

– იმ გარკვეულ წრეებს დასავლეთში, რომლებიც არიან დაინტერესებული მიხეილ სააკაშვილი იყოს გათავისუფლებული, თავიანთი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე. იმ წრეებსაც კი, ვისაც აქვს კონკრეტული პოლიტიკური ინტერესი სააკაშვილის კიდევ ერთხელ გამოყენებისთვის, არ უნდა აწყობდეთ საქართველოში დესტაბილიზაცია. თუ ქვეყანაში ისევ დაიწყო მაიდანიზაციის პროცესი და სააკაშვილის გამოშვებას აუცილებლად მოჰყვება ეს, ამ შემთხვევაში რუსეთის მხრიდან კონტრზომების მიღება არის გარდაუვალი. არ მგონია მათ ეს სცენარი უნდოდეთ მაშინ, როდესაც ჯერ უკრაინაში არ დაუსრულებიათ საქმე და საქართველოში მეორე ფრონტზე იომონ. სააკაშვილის შეწყალების თაობაზე, ჯერ აზრი ჩამოყალიბებული არ არის.

**საზოგადოება შეამჩნევდა, რომ ხელისუფლების და პარტიის წარმომადგენლების მხრიდან მნიშვნელოვნად იკლო ანტიევროპულმა, ხისტმა რიტორიკამაც. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში მოხდეს ევროპასთან ქვეყნის წევრობაზე მოლაპარაკებების გახსნა, რაც იქნება კიდევ ერთი, დამატებითი პოლიტიკური აქტივი „ქართული ოცნებისთვის.“ ამით კი, ოპოზიციას არაფერს უტოვებს ხელში, როგორც არგუმენტს.**

ესაუბრა
**ნიკო ჩოხელი**



# როცა სწავლა ძირშიც მწარეა და... კენწეროშიც!

**ქართული მწერლობის 15-საუკუნოვანი მთლიანობით როცა ვამაყობთ, შეუძლებელია, ეს მთლიანობა ქართული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების გარეშე წარმოვიდგინოთ, რაც მხოლოდ უძველესი ერების კუთვნილებაა. იმის გამო, რომ დღეს 21-ე საუკუნეა და მოსწავლეები ვერ იგებენ ძველ ტექსტებს, რამდენად სწორია ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების ხარჯზე თანამედროვე ლიტერატურის წილის გაზრდა და ჰაგიოგრაფიისთვის დროის მოკლება? მით უმეტეს, ჩვენმა დიდმა მწერალმა დავით გურამიშვილმა წინასწარმეტყველურად თქვა, რომ წარსულის გაუაზრებლად აწმყო და მომავალი არ შენდება: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.**

**რამდენად სწორია ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების რაოდენობის შემცირება? ამის შესახებ თეოლოგი ლევან აბაშიძე გვესაუბრება.**



## ლევან აბაშიძე: შესაძლოა, უკეთესი იყოს, ორი ნაწარმოები ასწავლონ კარგად, ვიდრე სამი... პირადად მე „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“ შევიტანდი სასკოლო პროგრამაში

– ჩემი აზრით, სკოლებში ჰაგიოგრაფია უნდა ისწავლებოდეს. არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სარწმუნოებას მისდევს მოსწავლის ოჯახი, ან თვითონ მოსწავლე. ჰაგიოგრაფია არის ჩვენი საუნჯე, ჩვენი ლიტერატურა. რამდენადაც ვიცი, არც არის საუბარი, დრამატულად შეამცირონ საათები, მე მგონი, უფრო საუბარია მეთოდზე, როგორ უნდა ვასწავლოთ, რომ უფრო გასაგები იყოს და სწავლება ნაყოფიერი აღმოჩნდეს. ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიგე გია მურღულიას ნათქვამი.

მთლიანად მაინც ვერ ვასწავლით ქართულ ჰაგიოგრაფიას, სასკოლო პროგრამაში არჩეულია მხოლოდ სამი ნაწარმოები, საბოლოოდ სამი დარჩება, თუ ორი, მთავარია, ხარისხი იყოს შესაბამისი, მთავარია, ბალანსი იყოს, რომ, ერთი მხრივ, ეს არის სარწმუნოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ქრისტიანულ რწმენასთან, ბიბლიასთან და, მეორე მხრივ, ეს არის ორიგინალური ქართული ლიტერატურა, რომელიც შემოინახა ისტორიამ.

ამდენად, ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა მნიშვნელოვანია ქართული ენის განვითარების მხრივაც. ცხადია, ძველ ქართულ ლიტერატურას თანამედროვე თარგმანი უნდა ახლდეს, რადგან ჩვენ არ გვესმის ძველი ქართული. თავის დროზე ჩვენ გავაკეთეთ ასეთი პროექტი - ჰაგიოგრაფიული ძეგლები ძველ ქართულად, რომელსაც იქვე ჰქონდა ახსნა-განმარტება ახალ ქართულად, 2000 წიგნი დავარიგეთ და ყველა სკოლის ბიბლიოთეკაში, ინტერნეტშიცაა ეს თარგმანები. ამდენად, ვფიქრობ, საუბარი არ არის ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ამოღებაზე სასკოლო პროგრამიდან, არამედ სწავლების მეთოდიკაზე.

იხ. 7 გვ.



# რა შუაშია მობილური ტელეფონი ანუ...

## „ტბა რომ გაიყინება, იქ მყოფი იხვები სად წავლენ“?!

**დღევანდელი ქართველი ხალხის ცხოვრებასა და თუნდაც – წეს-ჩვეულებებს თუ გადავხედავთ, თუ მოვინდომებთ და შევადარებთ გასული საუკუნის საზოგადოების ქცევით სურათებს, ბევრ საინტერესოს, საგრძნობლად განმასხვავებელ ნიშნებს დავინახავთ! არც არის გასაკვირი. ადამიანი, ზოგადად, ყველგან და რასაკვირველია, საქართველოშიც ისე ცხოვრობს, ისე იქცევა, როგორი გარემოც შეუქმნა მას დრომ, პოლიტიკურმა, სოციალურმა, ტექნიკურმა სივრცემ.**

გასული საუკუნის ბოლო წლებიდან დღემდე ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი გარდატეხების მოწმენი გავხდით, შესაბამისად, ადამიანებიც ახალი ჩვევებით აღიჭურვა. სამაგიეროდ ბევრიც ისეთ რამ დავკარგეთ, რაც ადამიანის პორტრეტს სხივსა და სინათლეს აშკარად აკლებს... ყოველ შემთხვევაში, დღეს სხვა ვართ, ვიდრე ვიყავით, ადამიანი არ იცვლებაო. – ამბობენ. დიახ, არ იცვლება მისი დამოკიდებულება გარემოსადმი და არ იცვლება ბევრი რამ, მაგრამ თუნდაც მეცხრამეტე საუკუნის ადამიანს თუ შევადარებთ დღევანდელს, განსხვავებას უთუოდ აღმოვაჩენთ. ეს თემა მეცნიერების, ადამიანის რაობის ამომცნობი მკვლევარების დამაინტერესებელი თემაა, ხოლო, ადამიანის ბედზე და ყოფაზე მოფიქრალ მწერალ-ფილოსოფოსებში, მხატვრებსა და სხვა ხელოვანებში, ინტერესთან ერთად იგი იწვევს დიდ ნოსტალგიას. შედეგად ვღებულობთ დიდებულ ნაწარმოებებს, თხზულებებს, მხატვრულ ტილოებს და ასე შემდეგ.

თებერვლის ამ დღეებმა ასეთ ფიქრებამდე მიმიყვანა. თვალწინ წამომეშალნენ ამ თხუთმეტი წლის წინანდელი სურათები, რომელმაც მაშინ ჩემი გაკვირვება გამოიწვია. პირველად, გზაზე მარტოდმარტო მიმავალი, მაღალი ხმით მოლაპარაკე კაცი რომ დავინახე, ვერ მივხვდი რაში იყო საქმე. კლასიკურად ჩაცმულ-დახურული, კარგად მოვლილი, ინტელიგენტური გარეგნობის კაცი, მიდის და მილაპარაკობს. შემეცოდა, წარმოვიდგინე, რომ საავადმყოფოდან ახალი გამოსული იყო...

თურმე მობილურზე (ხელში არ ეჭირა!) ლაპარაკობს. დღეისათვის საზოგადოებრივ ადგილებში მობილურზე მოლაპარაკეთა რიცხვი რეკორდულად გაიზარდა. გაიზარდა მომხმარებელთა სიტლანქეც. ასეა, ყოველ ახალ ტექნიკას უარყოფითიც თან ახლავს და გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქოლოგიაზე. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა კავშირი აქვს ტექნიკის წინსვლას იმ თემასთან, რაზედაც თქვენთან მინდოდა საუბარი? ძვირფასო მკითხველო, იქნებ თქვენ მაინც მიმიხვდეთ, არ მინდა რომ უშუალოდ ადამიანებს დავაბრალო ის უხეშობა, უზრდელობა, სიავე და სიბოროტე, რაც ამ საუკუნემ მოუტანა კაცობრიობას. სისხლისღვრა, ჩაგვრა, თავზეხელაღებულობა...

რა დღეშია ჩვენი პლანეტა, როგორ ინგრევა და იმსხვრევა ჩვენს თვალწინ... სად მეწყერი ჩამოწვა და მოსახლეობა თან ჩაიყოლა, მიწისძვრა, ვულკანების გამოცოცხლება, სად ღვარცოფი მოვარდა, ცუნამი, ქარიშხალი, სეტყვა და უბედურება... თითქოს და ეს ასეც უნდა იყოს, ბუნების მოვლენების გამკლავება შეუძლებელიაო – ვიმშვიდებთ თავს. დასამშვიდებლად კი ნამდვილად არა გვაქვს საქმე. იქნებ, ვინ იცის და, მართლაც ასეა? (იქნებ მობილურის ბრალია ყველაფერი?), ვფიქრობ და ჩემ თავს ვედავები. განა განგებამ იმიტომ გაგვაჩინა და დაგვასახლა ამ მშვენიერ პლანეტაზე, რომ ქონებისა და მიწების დასაპყრობად ერთმანეთი ვხოცოთ? ეჭვი არ მეპარება, – ადამიანების აგრესიამ გაამწარა ბუნება და ხარბი, უგუნური კაცობრიობის წინააღმდეგ განაწყო!

სიტყვა „აგრესიამ“ ჩვენი „პარლამენტის ქალები“ გამახსენა. პარლამენტში, ამ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ოპოზიციისა და უმრავლესობის წარმომადგენლები მუშაობენ. კაცები, ხომ ვიცით რაცა გვყვანან, მაგრამ ქალები?.. ასეთებმა, ერთმანეთზე „უკეთესებმა,“ როგორ მოიყარეს თავი. როდესაც, მათი ქცევებითა და სიტყვა-პასუხით შეძრწუნებული, კეთილ სიტყვებს ვერ ვიყენებ მათ დასახასიათებლად, ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ. მინდა, რომ ისინი პარლამენტარის სიმაღლეზე იდგნენ და სამშობლოსთვის ზრუნვით გამოირჩეოდნენ, მაგრამ რა ვქნა, მათი ქცევები ამის საშუალებას არ მაძლევს. მეჩვენება, რომ მათ არც ქვეყანა უყვართ, და არც იმ საქმის მცოდნენი არიან, რომელსაც ასე იფერებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვებს ჭკუას ასწავლიან. აბა, გავიხსენოთ წინა საუკუნეების ჩვენი დიდებული ქალბატონები, როგორ უანგაროდ იღვწოდნენ და იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის კულტურისა და განათლების გასავითარებლად. ცოდნის გასაღრმავებლად საზღვარგარეთაც მიდიოდნენ, რათა შემდგომ თავიანთი სოფლის ბავშვებისთვის უკეთესი აღზრდა-განათლება მიეცათ. ლიტერატურული და ისტორიული წყაროებიდან ვიცით, თუ როგორ ზრუნავდნენ და შრომობდნენ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. სკოლა არ იყო საქართველოში და სკოლები შექმნეს, ბიბლიოთეკები გახსნეს. ზრდიდნენ ღარიბ ბავშვებს და ხელს უწყობდნენ მათ ადამიანად, ქვეყნისათვის სასარგებლო პირად ჩამოყალიბებაში. გადავხედოთ მათ წერილებს და დავინახავთ როგორი სათნოება გამოსჭვივის მათ ბუნებასა და სულიერებაში. ..ღმერთმა დაგვიფაროს ასეთები დღესაც რომ არ გვყავდნენ... მაგრამ როდესაც ადამიანმა არ იცის ზრდილობის ელემენტარული ანბანი, არ ესმის მოვალეობა, არ გააჩნია პასუხისმგებლობა, ქალია ის თუ კაცი, სირცხვილია, იყოს დეპუტატი და იჯდეს პარლამენტში!

**როდესაც ადამიანმა არ იცის ზრდილობის ელემენტარული ანბანი, არ ესმის მოვალეობა, არ გააჩნია პასუხისმგებლობა, ქალია ის თუ კაცი, სირცხვილია, იყოს დეპუტატი და იჯდეს პარლამენტში!**




საანგარიშო მოხსენებაში ქალბატონმა პრეზიდენტმა ბევრისთვის (უმრავლესობისთვის) არასასიამოვნო აზრები და შეხედულებები გააცნო პარლამენტს, მაგრამ ნამდვილად ვერ შევედავებით ეთიკასა და ზრდილობაში. თქვა ის, რასაც გრძნობდა, რასაც ფიქრობდა (სხვათა შორის, ზოგიერთ რამეს თუ გაითვალისწინებს ჩვენი მთავრობა, არ იქნებოდა ურიგო! რაც შეეხება პრეზიდენტს, მისი მოხსენება, კიდევ უფრო რეალური იქნებოდა თავის შეცდომებზეც რომ ესაუბრა). პრეზიდენტის დარბაზში შემოსვლასთან დაკავშირებით, გამაკვირვა უმრავლესობამ, ნუთუ „პროტოკოლში“ არ უწერიათ როგორ უნდა შეხვდნენ ქვეყნის პრეზიდენტს? პარლამენტი არ არის სკოლა და ერთმანეთზე განაწყენებულ მოსწავლეთა ჯგუფის ბუტიანობა!..

პარლამენტმა მოისმინა ირაკლი კობახიძის თანმიმდევრული პროგრამა. თუ მომავალმა მთავრობამ ყველაფერი ის შეასრულა... თუმცა, ნუ ვიჩქარებთ, ამის შესახებ ისაუბრებენ საქმის მცოდნენი, ყველაფერს გააანალიზებენ და უკეთ დაგვანახებენ პრემიერ-მინისტრის მომავალი გეგმების ავკარგიანობას. უამრავი ცხოვრებისეული საკითხი გვაწუხებს ქართველ ხალხს, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია დემოგრაფიული პრობლემა, იმედია მობილურ ტელეფონს არ გადაყვებიან ჩვენი ახალგაზრდები, დაქორწინდებიან, გამრავლდებიან, მაგრამ ოჯახის შექმნა ხომ მრავალ მატერიალურ საკითხს უკავშირდება და აი, თავიანთი მობილურებით გარბიან ჩვენი შრომისუნარიანი ახალგაზრდები საზღვარგარეთ, ხშირად იქ ქორწინდებიან და იქვე მკვიდრდებიან კიდეც. ასე, შაგრენის ტყავივით მცირდება ქართული დემოგრაფიული სურათი, რაზედაც თავს, მაინცდამაინც, არავინ არ იწუხებს.

**სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ გამახსენა ჩემს მიერ ამოჩემებულმა „მობილურმა ტელეფონებმა“. „ტბა რომ გაიყინება, იქ მყოფი იხვები სადღა წავლენო?“ სულ ეს აზრი უტრიალებდა 17 წლის ჰოლდენ კოლფილდს თავში. იმედი მაქვს, რომ ჩემი მკითხველი მიმიხვდება და არაფერს მკითხავს კაცობრიობის წინაშე „მობილური ტელეფონების“ დანაშაულის შესახებ.**



**გულნარა სტურუა**

# ინალ არძინბა: უკან 1937-ში




**ამას წინათ ვწერდით, რაოდენ ფართო საქმიანობა გაშალა აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრმა ინალ არძინბამ იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დისკრედიტაციის მიზნით, რომლებიც კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საკეთილდღეოდ ჰუმანიტარულ და სოციალურ პროექტებს ახორციელებენ. სამწუხაროდ, საერთაშორისო ორგანიზაციები არ აღმოჩნდნენ გამონაკლისნი, რომლებიც მისი მხრიდან თავდასხმების ობიექტებად იქცნენ. გასული წლის ბოლოს დაიწყო ნამდვილი ნადირობა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ახალგაზრდულ საინიციატივო ჯგუფებზე, მედიაზე, ცალკეულ ჟურნალისტებსა და აქტივისტებზე. და ალბათ, „გასაოცარი დამთხვევაა“, რომ ყველა პირი, რომელსაც ბ-ნი არძინბა დაუპირისპირდა, საკმაოდ ღიად ადასტურებდა პოზიციას რუსეთისთვის ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის გადაცემის შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის წინააღმდეგ.**

**ახლადგამომცხვარმა „საგარეო საქმეთა მინისტრმა“ ინალ არძინბამ თავისი დიპლომატიური კარიერა საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრი კრიტიკით დაიწყო. იგი რეგულარულად იბარებდა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს „სამინისტროს“ მედიაცენტრში და საყვედურობდა იმ პროექტების გამო, რომლებიც, მისი აზრით, „საფრთხეს წარმოადგენენ ეროვნული უსაფრთხოებისთვის“ და „აფხაზეთში გავლენის აგენტურის ჩამოყალიბებაზე არიან მიმართული“... „მინისტრმა“ იმ მოქალაქეთა სიაც კი მოითხოვა, რომლებიც გაეროს სააგენტოებთან თანამშრომლობენ.**



## როგორ იწყებოდა ყველაფერი?!

**2020 წლის ნოემბერში სოხუმსა და მოსკოვს შორის გაფორმდა საერთო სოციალური და ეკონომიკური სივრცის ფორმირების პროგრამა, რომლის ერთ-ერთი პუნქტი არაკომერციული ორგანიზაციებისა და უცხოეთის აგენტების საქმიანობის რეგულირების ნაწილში ადგილობრივი კანონმდებლობის რუსეთისასთან ჰარმონიზაციას ითვალისწინებდა.**

ერთ წელიწადში იუსტიციის სამინისტროების დონეზე ხელი მოეწერა მემორანდუმს არაკომერციული ორგანიზაციებისა და უცხოეთის აგენტების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების ჰარმონიზების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, რაც, აფხაზეთის დე ფაქტო იუსტიციის მინისტრ ანრი ბარციცის თქმით, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის რეგულირებისთვის სერიოზულ საფუძვლად უნდა ქცეულიყო. ცოტა ხანში კი აფხაზეთში თავად უცხოეთის აგენტების შესახებ რუსულის ანალოგიური კანონპროექტის შემუშავება დაიწყო. შეგახსენებთ, რომ „უცხოეთის გავლენის ქვეშ მყოფ პირთა საქმიანობის კონტროლის შესახებ“ რუსეთის კანონით უცხოეთის აგენტის სტატუსი ენიჭება ყველას, ვინც დაფინანსებას უცხოეთიდან იღებს; მათთვის შექმნილია სპეციალური რეესტრი. ანალოგიური კანონის აფხაზეთში ამოქმედების შემთხვევაში თითქმის ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია იძულებული იქნებოდა, ნებაყოფლობით მიეწებებინა „უცხოეთის აგენტის“ იარლიყი, ან არსებობა შეეწყვიტა.

ამ პროცესების პარალელურად ახლადგამომცხვარმა „საგარეო საქმეთა მინისტრმა“ ინალ არძინბამ თავისი დიპლომატიური კარიერა საერთაშორისო ორგანიზაციების მკვეთრი კრიტიკით დაიწყო. იგი რეგულარულად იბარებდა ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებს „სამინისტროს“ მედიაცენტრში და საყვედურობდა იმ პროექტების გამო, რომლებიც, მისი აზრით, „საფრთხეს წარმოადგენენ ეროვნული უსაფრთხოებისთვის“ და „აფხაზეთში გავლენის აგენტურის ჩამოყალიბებაზე არიან მიმართული“... კარგი წარმოდგენა ჰქონია საკუთარ მოქალაქეებზე ბ-ნ არძინბას, ვერაფერს იტყვი და ამაში კიდევ არაერთხელ დავრწმუნდებით. არსებული ინფორმაციით, „მინისტრმა“ იმ მოქალაქეთა სიაც კი მოითხოვა, რომლებიც გაეროს სააგენტოებთან თანამშრომლობენ.

საერთაშორისო ორგანიზაციების დემონიზებასთან ერთად „მინისტრი“ აქტიურად პედალირებდა უცხოეთის აგენტების შესახებ კანონპროექტის მიღებას, რომლის განხილვამ არა მარტო საზოგადებრივ, არამედ პოლიტიკურ წრეებშიც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მაგალითად, საზოგადოებრივ პალატაში გამართული მოსმენის დროს დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შამბამ განაცხადა, რომ „არასამთავრობო სექტორმა თანამედროვე აფხაზეთის ისტორიაში დიდი როლი შეასრულა“ და რომ „ამ საკითხის განხილვა განსაკუთრებულ მიდგომას საჭიროებდა“. სხვათა შორის, გამოცდილ პოლიტიკოს შამბას, ახლადაღმოცენებულ დიპლომატ ინალ არძინბასგან განსხვავებით, მშვენივრად ესმის არასამთავრობო სექტორის მნიშვნელობა საზოგადოების განვითარებაში. ჯერ კიდევ 2020 წელს, ერთ-ერთ თავის ინტერვიუში მან NGO-ები პატრიოტებად მოიხსენია და არამიზანშეწონილად მიიჩნია უცხოეთის აგენტების შესახებ რუსული კანონმდებლობის გაზიარება, მით უფრო, რომ მისი აზრით, „სხვა ქვეყნების ინტერესებში მოქმედი ორგანიზაციები აფხაზეთში არ არსებობენ“.

2022 წელს აფხაზური საზოგადოებისთვის კანონპროექტის თავს მოხვევის მცდელობამ სრული კრახი განიცადა და საკვანძო როლი ამაში საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეასრულეს. მაგრამ დიდი ხნით?

## ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის საკითხი

**ადგილობრივი NGO-ების წინააღმდეგ ახალი ტალღა „პრეზიდენტ“ ბჟანიას მიერ ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე რუსეთის ლიდერ ვლადიმირ პუტინისთვის, ოფიციალურად კი პუტინს დაქვემდებარებული „დაცვის სახელმწიფო სამსახურისთვის“ ბიჭვინთის სახელმწიფო აგარაკის გადაცემის საკითხს უკავშირდებოდა. აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი ოპოზიციის, არასამთავრობო სექტორის, საზოგადო მოღვაწეებისა და ახალგაზრდა აქტივისტების ჩათვლით ამ გადაწყვეტილების მიმართ იმთავითვე მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა, ხსენებული შეთანხმების კონსპირაციულმა რატიფიკაციამ კი აფხაზეთში ვითარება კიდევ უფრო დაძაბა.**



ასლან ბჟანიამ სცადა, მზარდ დაძაბულობაზე გავლენა პირადად მოეხდინა, გასული წლის დეკემბრის დასაწყისში შეხვედრაზე დაიბარა ახალგაზრდული მოძრაობა „ХарахПицунда“-ს წარმომადგენლები და ამაოდ ეცადა მათ დარწმუნებას იმაში, რომ რუსეთისთვის ბიჭვინთის „მადლიერების ნიშნად“ გადაცემა აუცილებლობას წარმოადგენდა. აფხაზი ახალგაზრდობის იძულება, უარი ეთქვა პატრიოტულ განწყობაზე, იოლი არ აღმოჩნდა.

მაშინ საქმეში დე ფაქტო უშიშროების სამსახური ჩაერთო, რომელმაც ახალგაზრდული მოძრაობა და მასთან ერთად სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ღიად დაადანაშაულა „არამეგობრული, მტრული ინსტიტუტების (იგულისხმება გაეროს განვითარების პროგრამა, რომელიც უკვე ათწლეულებია, აფხაზეთში ჰუმანიტარულ პროექტებს ახორციელებს – **რედ**.) ფინანსური მხარდაჭერით რიგ შიდაპოლიტიკურ საკითხებზე კრიტიკული პოზიციის გამოთქმაში, მათ შორის ქუჩის საპროტესტო აქციების მართვაში“. იგივე საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით „გარედან წახალისებული „ფერადი რევოლუციების“ საფრთხის“ შესახებ გააკეთა განცხადება „პრეზიდენტმა“ ასლან ბჟანიამ. ამ გზით დე ფაქტო ხელისუფლება ბიჭვინთასთან დაკავშირებით მიღებული საკუთარი არაპატრიოტული გადაწყვეტილების გამართლებას ცდილობდა და ამასთან, არაპატრიოტიზმში თავად ხალხს ადანაშაულებდა – რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს.

## ინალ არძინბას როლი

**მაგრამ განსაკუთრებით აქტიურად ამ ანტისაზოგადოებრივ კამპანიაში ისევ ის ინალ არძინბა იყო ჩართული. დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა, რომელმაც, როგორც ჩანს, დაივიწყა, რომელ უწყებას ხელმძღვანელობდა და ამავდროულად თუ მთელი პლანეტის არა, აფხაზეთის ღერძად მაინც წარმოუდგენია თავი, გადაწყვიტა, საფუძვლიანად დაკავებულიყო შიდა პოლიტიკით. აქ უნდა აღინიშნოს, რომ არძინბა ადრეც ცოცხალ ინტერესს იჩენდა იმის მიმართ, რაც არა რესპუბლიკის გარეთ, არამედ თავად აფხაზეთში ხდებოდა: საკმარისია, გავიხსენოთ მისი გრძელი ტურნე რაიონებში, რომლის ფარგლებშიც არძინბა დიდი ენთუზიაზმით უყვებოდა ადგილობრივებს რაღაც ზღაპრებს „ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე“ რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობების შესახებ და აფხაზებისთვის ესოდენ მიუღებელი კიდევ ერთი რუსული პროექტის – აპარტამენტების შესახებ კანონპროექტის ლობირებას ცდილობდა.**

მაგრამ ამჯერად მოსკოვისთვის საკუთარი პროფგამოსადეგობის დამტკიცების სურვილით შეპყრობილმა არძინბამ გადაწყვიტა, კიდევ უფრო შორს წასულიყო და საკუთარი თანამოქალაქეები, არც მეტი, არც ნაკლები, ღალატში დაედანაშაულებინა. მისი უწყების ერთ-ერთი თანამშრომლის გვერდზე გამოქვეყნდა ფულადი გადარიცხვები, რომლებიც გაეროს განვითაოების პროგრამას ადგილობრივი არასამთავრობოებისთვის პროექტების რეალიზების ფარგლებში აქვს განხორციელებული და ეს იმის „მტკიცებულებად“ საღდებოდა, თითქოს ეს არასამთავრობოები ფულს „საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციაში იღებენ“. ამასთან, გამოქვეყნებული იყო კონკრეტულ პირთა პერსონალური მონაცემებიც, მიღებული თანხის ოდენობისა და საბანკო ანგარიშების ჩათვლით. ამას მოჰყვა ხისტი, მუქარანარევი სიტყვიერი თავდასხმები ცალკეულ ჟურნალისტებსა და მედიასაშუალებებზეც.

მეტი დამაჯერებლობისთვის კი ინალ არძინბამ საქმეში უცხოეთში მყოფი აფხაზი დიპლომატებიც ჩართო, რომლებიც სირიისა და ვენესუელის „დემოკრატიების“ მაგალითზე ერთხმად ალაპარაკდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედების შეწყვეტის აუცილებლობაზე. აბა რა, რამენაირად ხომ უნდა გაამართლონ სარეზერვო ფონდიდან ფინანსების მიღება?!

მეტიც, არძინბამ აკრძალა მსხვილი საერთაშორისო დონორების პროექტები, რითიც მნიშვნელოვნად შეზღუდა არასამთავრობოების კანონიერი შემოსავლები. მაგრამ ამ პოლიტიკის ყველაზე ტრაგიკული შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ უამრავი უშუალო ბენეფიციარი დაკარგავს ესოდენ საჭირო ჰუმანიტარულ და სოციალურ მხარდაჭერას, რომელსაც ადგლობრივი რეჟიმი მოსახლეობას დიდი სურვილის შემთხვევაშიც კი ვერ გაუწევს.

ანტისაზოგადოებრივი ისტერიის მორიგი ტალღა მოჰყვა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის – ტოივო კლაარის განცხადებას, რომელშიც მან გაკვირვება გამოხატა დე ფაქტო მთავრობის გადაწყვეტილების გამო, მისი სოხუმში ვიზიტები შეიზღუდა. როგორც კლაარმა აღნიშნა, აფხაზეთის მსგავსი თვითიზოლაცია უპირველესად, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ამ განცხადებას ინალ არძინბას უწყებამ რისხვით უპასუხა. დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ახალგაზრდა „დიპლომატის“ თაოსნობით ერთმანეთის მიყოლებით ადანაშაულებდნენ ტოივო კლაარს ლამის „ხალხის მტრობაში“ და ამავდროულად უკვე ღიად მოიხსენიებდნენ აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციებს უცხოეთის აგენტებად.

და ეს ყველაფერი – გავრცელებული ინფორმაციის ფონზე, რომლის თანახმად, უახლოეს ხანებში მიიღება კიდევ უფრო გამკაცრებული კანონი უცხოეთის აგენტების შესახებ, რომლითაც ეს სტატუსი უკვე არა მარტო იურიდიულ, არამედ ფიზიკურ პირებსაც მიენიჭებათ. არადა, ლოგიკით, პირველი ამ სიაში თავად ინალ არძინბა უნდა იყოს...

მსგავსი პოლიტიკის მორალურ და სამართლებრივ მხარეებს რომ თავი დავანებოთ, ისმის კითხვა: შედის კი ეს „საგარეო საქმეთა მინისტრის“ მანდატში? იდეაში ხომ ეს უწყება არ უნდა ერეოდეს (ასე ღიად მაინც) შიდა პოლიტიკაში და მით უფრო საექსპერტო საზოგადოებისა და არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობაში? იქნებ საქმე რეალურად, იმაშია, რომ უფრო კომპეტენტურ სტრუქტურებს უბრალოდ არ გააჩნიათ სამხილები ცილდაწამებული მოქალაქეების წინააღმდეგ და ამიტომაც გადაწყვიტა ინალ არძინბამ, თვითნებურად აღასრულოს „სამართალი“ უკანონო გზით მოპოვებული და თან აშკარად ყალბი ინფორმაციის გავრცელებით?

**წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, ასეთ ადამიანს რომ აფხაზეთში კრემლის ისედაც გაფორმებული ტოტალური კონტროლის ფონზე კიდევ უფრო მეტი უფლებამოსილება მიენიჭოს? – WELCOME BACK TO 1937...**

**ეკა ცანავა**

## უინსტონ ჩერჩილი:

# დემოკრატია მმართველობის უსაზიზღრესი ფორმაა!!!

**ამ წერილის სათაურად იმიტომ გამოვიტანე დიდი ინგლისელი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის გამონათქვამი, რომ იგი საპარლამენტო დემოკრატიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე ქვეყნის შვილი იყო და სხვაზე მეტად დაეჯერება.**

**ლორდი იყო, ბოლოს და ბოლოს, ისეთი კი არა, ელტონ ჯონი რომ არის, რომელსაც ინგლისის დედოფალმა მიანიჭა რამდენიმე წლის წინ რაინდის ტიტული, როდესაც ერთი ახალგაზრდა კაცი ცოლად შეირთო, თუ თვითონ გაჰყვა ცოლად.**

**ჩერჩილს მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული რაინდის ტიტული. მოკლედ, მე ვფიქრობ, ჩერჩილს ყველაზე მეტად დაეჯერება, მით უმეტეს ჩვენში, სადაც ევროპელ მაღალჩინოსნებს პიტალო სიბრიყვესაც კი სიბრძნედ უთვლიან.**



**ასე რომ არ იყოს, ჩერჩილისას კი არა, გრძენი ილია ჭავჭავაძის ნათქვამს გამოვიტანდი სათაურად, რომელიც დემოკრატიულ არჩევნებს ეხება, სწორედ! როდის თქვა იცით? როდესაც მისივე ინიციატივით დაარსებულ სათავადაზნაურო ბანკის მმართველის არჩევნებში ვერ გაიმარჯვა და წააგო!..**

წააგო ივანე მაჩაბელთან, რომელმაც საბანკო საქმე და, საერთოდ, რაიმე საქმის მართვა ისე იცოდა, როგორც ბეგიაჩემმა სონა გელაშვილმა ჩინური ენის გრამატიკა. რატომ წააგო ამ ჭკუით გაპენტილმა კაცმა არჩევნები ინგლისური ლიტერატურის დიდებულ მთარგმნელ, მაგრამ საბანკო საქმის სრულიად უცოდინარ ივანე მაჩაბელთან? იმიტომ, რომ მაჩაბელი ქართლელი იყო, ილია კი კახელი, ხოლო სათავადაზნაურო კრებაზე ქართლელები ბევრად მეტნი ყოფილან კახელებზე. სხვათა შორის, ამ კრებაზე ინციდენტიც მოხდა: ერთმა ქართლელმა თავადმა მისცა ხმა ილიას და ქართლელმა თავადებმა კინაღამ ჩაქოლეს, კახელს რატომ მიეცი ხმაო, აი, მაშინ თქვა ილიამ: ხმები კი არ უნდა დაითვალოს, არამედ უნდა აიწონოსო!

ჭეშმარიტად, ილია ჭავჭავაძის ერთი ხმა და ვიღაც ჯოხიტლეკიაშვილის ერთი ხმა ერთნაირი წონისაა?

ამაზე ერთი კარგი პასუხი აქვს გურამ დოჩანაშვილს მოთხრობაში „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.

აი, ისიც: „მათემატიკა ზუსტი მეცნიერება არ არის. რატომ, თუ იცი? იმიტომ, რომ იქიდან თუ მოდიან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა ფშაველა, აქედან კი ვინმე სხვა სამი კაცი, მათემატიკოსი იტყვის – მომავალი და მიმავალი ადამიანების რაოდენობა ტოლიაო“. აი. რეალურად ასეა საქმე.

ადვილად მიხვდებით, თუ რატომ წერს ამას გონიერი გურამ დოჩანაშვილი.

დემოკრატია ვინც მოიგონა და დაამკვიდრა, კარგად იცოდა, ალბათ, რომ ერთ სოფელსა თუ ქალაქში ჭკვიანი, ჭკუის საკითხავი კაცების რაოდენობა ასჯერ ნაკლები იყო მცირე ჭკუისა თუ სულაც სულელ კაცებზე, მაგრამ იფიქრა: რამდენიმე ჭკვიან კაცს რომ მივანდოთ მთავრობის არჩევა, ვაი თუ შეცდეს ის რამდენიმე კაცი და რა გვეშველებაო!

მოდი, მთელ ხალხს ვკითხოთ, ამოდენა მილეთის ხალხი ხომ არ შეცდებაო! „დათა თუთაშხიაში“ რომ ასინეთაა, ე, იმის ლოგიკაა ეს: ორი კაცი რომ მოისმენს და გაიგებს, ერთი კაცი მოისმენს და გაიგებს ისე?!“ ა, ეს ლოგიკაა. არა და, ინტელექტუალურ შესაძლებლობათა შესახებ ფსიქოლოგიას უტყუარად აქვს დასაბუთებული, რომ მილიონი საშუალო ნიჭის ადამიანის კოლექტიური გონებრივი შესაძლებლობა ერთი გენიოსის ინტელექტს არანაირი საზომით არ უთანაბრდება. მეტიც მილიონი საშუალო ნიჭის ჯამი ერთი საშუალო ნიჭის ტოლია!

**ჭკვიანი კაცი იყო კარდინალი რიშელიე: ერთი კაცის ჭკუას ორი კაცის ჭკუა სჯობია, სამი კაცის ჭკუა ორი კაცის ჭკუაზე უკეთესია, მაგრამ ასი კაცის ჭკუა ერთი ვირის ჭკუაზე ნაკლებიაო, – ასე თქვა, სწორედ.**

**ისე, ჩემს ახალგაზრდობაში არც ჩერჩილის გამონათქვამი მეგონა გონივრული, არც კარდინალ რიშელიეს ნათქვამი ჩამითვლია სერიოზულ ნააზრევად და თვით ილიას ზემოთ აღნიშნული მოსაზრება გაგრაზებული კაცის ნათქვამად ჩავთვალე, მაგრამ მას შემდეგ, რაც დემოკრატია აყვავდა ჩვენში, ვისაც ცოტა ჭკუა მაინც მოეკითხება, ყველა დარწმუნდა იმ ცხონებული სამი დიდი კაცის ნააზრევის ჭეშმარიტებაში.**

საქართველო საბჭოთა წყობილების პერიოდში ექსპერიმენტების რესპუბლიკად ითვლებოდა და არცთუ ისე უსაფუძვლოდ. ჩვენში მმართველობის დემოკრატიული ფორმის შემოღებაც ერთგვარ ექსპერიმენტად მიმაჩნია, რადგან ამიერ თუ იმიერკავკასიელი ხალხებისათვის ჩვენი მაგალითი რაღაც-რაღაცების შესახებ, ადეკვატურ წარმოდგენებს შექმნის და, მე მგონია, შექმნა კიდევაც, მარტო ის რად ღირს, რომ დემოკრატიულად არჩეული პარტია „გირჩის“ წევრებმა და მისმა ლიდერებმა, როგორ „ეფექტიანად“ გააპროტესტეს რუსეთის პოლიტიკა სეპარატისტული ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საზღვართან, არ დაიჯერებთ, მაგრამ მათ ნამდვილად ჩაიხადეს შარვლები და შიშველი უკანალები მიუშვირეს საზღვრის იქით მდგომ მესაზღვრეებს. როგორც ამბობენ, მესაზღვრეთა რაზმის მეთაურს უკითხავს, ვინ არიან ეს ტრაკებიო, ქართული საპარლამენტო პარტიის წარმომადგენლები არიანო, – უთქვამთ. იმ მეთაურს აღარ დაუკონკრეტებია თავისი ცოდნა ამ პარტიის შესახებ და არც მისი თავმჯდომარის ზურაბ გირჩის ვინაობა!

რა თქმა უნდა, ჩვენმა ხალხმაც კარგად დაინახა, რა არის ეს დემოკრატია, რომელიც იმ ნაქები „ევროპული გონების“ პროდუქტია. ჩვენ გამოუცდელი ხალხი ვართ ამ საქმეში, მაგრამ ერთობ გამოცდილ დასავლეთელებს ხომ უნდა დავუჯეროთ! ჰო და, იმ დიდი გამოცდილების მქონე დიდი ქვეყნის პრეზიდენტმა აკი გვითხრა, თქვენი პრეზიდენტი დემოკრატიის შუქურააო. ჩვენმა თანამემამულეთა დიდმა ნაწილმა, რომელსაც უცხოელის ნათქვამი სიბრიყვეც კი დიდ სიბრძნედ მიაჩნია, დაიჯერა, რომ როგორც იქნა, გვეღირსა დემოკრატიაო! ახლა ერთი დიდი მოლოდინი აქვთ კორბოულელ თუ ბოდბელ, ნებოძირელ, თუ დილიკაურელ, ომალოელ თუ საჭამიასერელ, სასირეთელ თუ ხაზუმელ გლეხებს, იმის საბუთიც მოგვცეს დასავლეთმა, რომ თქვენც ისეთივე ევროპელები ხართ, როგორც ესპანელები, თუ ჰოლანდიელები, დანიელები, თუ ფინელები, მერე გვეღირსება ნამდვილი თავისუფლება, ისეთი, როგორიც აქვთ შვედებსა, თუ ფრანგებს, ჩეხებსა თუ ლიეტუველებს, სადაც ვისაც რა უნდა, იმას აკეთებს, უნდა რგოლს გაიყრის ცხვირში და სურს, სქესს შეიცვლის. აბა, ის არის საქმე, კაცად თუ დაიბადე, მთელი ცხოვრება კაცად უნდა გაატარო, ან ქალად თუ გაჩნდი, მუდამ ქალად უნდა დარჩე. იქნებ, მეც მინდა, ცოლი მოვიყვანო (ქალი ფიქრობს!), ან გავთხოვდე (კაცი ფიქრობს!), რად უნდა მიშლიდეს ხელს ამ საქმეში ეს ოხერი თანდაყოლილი სქესი? ადამიანი ხომ თავისუფლებისთვის არის გაჩენილი, განა სიცრუეა ეს?

**აი, ამ აზრებს აღუძრავს „დემოკრატიული თავისუფლება“ კატეგორიის იმ ნაწილს, რომელსაც ღვთის მონიჭებული შემეცნების უნარის მწვავე დეფიციტი აქვს. ასეთები კი დიდი უმრავლესობაა ნებისმიერ საზოგადოებაში, სწორედ მათი ინტელექტის მართვისა და მოწესრიგების აუცილებლობის გამო შეიქმნა სახელმწიფო, რომლის ფუნქციაა მორალური კოდექსისა და სამართლებრივი ნორმების ჩარჩოებში მოაქციოს საზოგადოების უჭკუო და ჭკვიანი ნაწილი, რათა ყველა ადამიანმა იგრძნოს ნამდვილი პიროვნული თავისუფლება და საკუთარი ღირსების გრძნობა, მრავალი საუკუნის წინ მიაკვლია კაცობრიობამ იმ ჭეშმარიტებას, რომ თავისუფლება არის ობიექტური აუცილებლობა მოთხოვნისადმი დამორჩილება. აი, დემოკრატია (ახლანდელი გაგებით!) ვერ უზრუნველყოფს ამას.**

ისე არავინ გაიგოს, თითქოს ქვეყნის მეფე იყო, თუ დიქტატორი, ბელადი, თუ სხვა ლიდერი, არავის არაფერს ეკითხებოდა და ისე ღებულობდა საქვეყნო გადაწყვეტილებებს. არა, ბატონებო, არა! ყველა ქვეყანაში, მეფესთან, თუ ქვეყნის სხვა ლიდერებთან ფუნქციონირებდა ჭკუის საკითხავი კაცთა საკრებულოები, ან სხვა მსგავსი სტრუქტურები. ქართველ მეფეებსაც ჰყავდათ მრავალრიცხოვანი მრჩევლები, რომლებიც სწავლულ კაცთა საბჭოებისა თუ კომისიების სახით არსებობდნენ, სწავლულ კაცთა და არა უსწავლელ და უვიცთა საბჭოები თუ კომისიები!



**არდა, საყოველთაო არჩევნებით, ანუ დემოკრატიულად არჩეულები არიან ეს დეპუტატები, ანუ ქართველი ხალხის რჩეულები! ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს იმ დეპუტატზე უკეთესი ადამიანები არ ჰყავს, რომელთა ერთ ნაწილს ახლა ჩამოვთვლი: აი, მაგალითად, ლევან ხაბეიშვილი, თინა ბოკუჩავა, კუკონა გოცირიძე, ელენე ხოშტარია, ვინცხა მანჯგალაძე, ვინცხა სამნიაშვილი, ვინცხა ელისაშვილი, ვინცხა სამადაშვილი, ზუგდიდის მშვენება წითლიძე, ქუთაისში გაზრდილი ჩხრიალა გველი ნაცვლიშვილი... ბოდიშს ვიხდი იმათთან, ვინც ვერ დავასახელე და დასახელებულთა პატიოსან მოგვარეებთანაც.**

მერედა, ეს სწავლული კაცები (ანუ ჭკვიანი კაცები!) საზოგადოების უმრავლესობას წარმოადგენდნენ ან მაშინ და ან ახლა? ამიტომ, უმრავლესობის ნება ჭკვიანური როგორ იქნებოდა მაშინ ან ახლა, მაცოდინა ნეტავი!

შორს წასვლა არ დაგვჭირდება ამ ჭეშმარიტების დასანახავად. აგერ არ გვაქვს უმრავლესობის მიერ არჩეული პარლამენტი! უმრავლესობის აზრი რომ ღირებულებას წარმოადგენდეს, მაშინ ეს ასორმოცდაა-



**როგორც ამბობენ, მესაზღვრეთა რაზმის მეთაურს უკითხავს, ვინ არიან ეს ტრაკებიო, ქართული საპარლამენტო პარტიის წარმომადგენლები არიანო, – უთქვამთ.**

თი (150!) კაცი ჩვენი მთელი საზოგადოების, მართლაც, ნაღები უნდა იყოს! არა და, ეს ასორმოცდაათი კაცი საზოგადოების ისეთივე ნაღებია, როგორც ის ვირი, სალოცავად რომ მიდიოდა იერუსალიმში!

არდა, საყოველთაო არჩევნებით ანუ დემოკრატიულად არჩეულები არიან ეს დეპუტატები, ანუ ქართველი ხალხის რჩეულები! ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს იმ დეპუტატზე უკეთესი ადამიანები არ ჰყავს, რომელთა ერთ ნაწილს ახლა ჩამოვთვლი: აი, მაგალითად, ლევან ხაბეიშვილი, თინა ბოკუჩავა, კუპონა გოცირიძე, ელენე ხოშტარია, ვინცხა მანჯგალაძე, ვინცხა სამნიაშვილი, ვინცხა ელისაშვილი, ვინცხა სამადაშვილი, ზუგდიდის მშვენება წითლიძე, ქუთაისში გაზრდილი ჩხრიალა გველი ნაცვლიშვილი... ბოდიშს ვიხდი იმათთან, ვინც ვერ დავასახელე და დასახელებულთა პატიოსან მოგვარეებთანაც.

აი, ეს არის კოლექტიური ამომრჩევლის, ანუ დემოსის დემოკრატიული არჩევანი!

**ამათ, თურმე 2024 წლის 1 იანვრიდან რვაათასი (8000) ლარი ჰქონიათ ხელფასი და ახალი წლიდან ორიათასს (2000) უმატებენ კიდევ!**

ესეც დემოკრატიული სოციალური სამართლიანობა!

კომუნისტური დიქტატორული რეჟიმის დროს რაიკომის პირველი მდივნის ხელფასი 350-450 მანეთი იყო (რაიონის ეკონომიკური კატეგორიის მიხედვით). რაიკომის პირველი მდივანი რაიონის მმართველი გახლდათ. მე თბილისის ერთ-ერთი ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე ვიყავი და ლექციებსაც ვკითხულობდი ხუთ ჯგუფში. ჩემი თანამდებობრივი ხელფასი და ლექციების საათობრივი ანაზღაურება 300 მანეთზე მეტი იყო. მაშინ მინისტრის ხელფასი ქვეყანაში საშუალო ხელფასს 3-ჯერ მეტად არ აღემატებოდა. ეს ნორმალურია?! ახლა ამ უვიცი და უზნეო დეპუტატების ხელფასი ჩემს პენსიას 22-ჯერ აღემატება. მე მათი კი არ მშურს, დემოკრატიული მმართველობის ხელში „გაუბედურებული" ქვეყანა მებრალება.

**რჩეული დეპუტატებით კი არა, მოწვეული ჭკვიანი კაცებით რომ დაეკომპლექტებინათ ხელისუფლების ორგანოები, სრულიად სხვა რეალობაში ვიცხოვრებდით მაშინ, რადგან განათლებულ კაცებს გეოგრაფიაც ეცოდინებოდათ, ისტორიაც, დიდიც და პატარაც და იმათ, ვინც „შინ" ევროპაში მინდა, დავბრუნდეო, – იტყოდა, უფასო ფსიქიატრიულ მკურნალობას დაუნიშნავდნენ.**

ეს ასეა, მაგრამ, ჩვენსავე პრაქტიკულ ცხოვრებაში როგორ რეალობას ქმნის „დემოკრატიული შუქურებით" განათებული მართვის სისტემა?

საყოველთაო არჩევნებით შერჩეული „რჩეულები", რომლებიც არც ჭკუით, არც ცოდნით და არც ზნეობით გამოირჩევიან, რა თქმა უნდა, მაღალი ეროვნული იდეალებითა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობითაც არ გამოირჩევიან, ამიტომ ისინი საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილებებით მოქმედებენ. საკუთარი კომფორტია მათი იდეალი. სწორედ ამიტომ, უპატრონო საქართველოს მიწა-წყალს ისე გადასცემენ არენდით უცხოელებს, რომ გული არ შეუტოკდებათ. მერე, გაბითურებული მათი ამომრჩევლები პროტესტს რომ გამოხატავენ ამის გამო (ის „ინვესტორი" ტყესა და მდინარეში რომ აღარ შეუშვებს ამ მიწა-წყლის ნამდვილ პატრონებს!) თავს იმართლებენ, ჩვენ მიწა-წყალი კი არ გაგვიყიდია, დროებით, არენდით გადავეცით ინვესტორს, რომ იმ ტყისა და წყლისათვის თქვენზე უკეთესად, ისევ თქვენს სარგებლად მოევლოო.

რამდენიმე წლით გადაეცით არენდითო, რომ კითხავენ, რაღაც 49 თუ 99 წლითო!

ვაი თქვენსა და ჩვენს პატრონს! 99 წლის მერე იმ რიონის ხეობასა თუ რაჭის ტყეებს როგორ დაიბრუნებენ ჩვენი შთამომავლები, როდესაც ქართველებს გამრავლების არც სურვილი აქვთ და, მგონი, არც შესაძლებლობა!, იმ უცხოელებს, კი შვიდშვილიანი ოჯახი უშვილო კომლად მიაჩნიათ!.

რას იზამ, დემოკრატიის წესია ასეთი: ყველა ადამიანს უფლება აქვს იქ წავიდეს და იცხოვროს, სადაც მოეპრიანება, მნიშვნელობა არ აქვს, „ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო". დემოკრატიისათვის არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიც არის – სამშობლო, ამიტომ წამოაყენეს „უკვდავი ლოზუნგი" ნეოლიბერალმა დემოკრატებმა XIX საუკუნეში – „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" მაშინ ერთმა ქართველმა ნეოდემოკრატმა კი ამოილუღლუღა: კი, მარა, საქართველოში შეერთდით-ო, ის კი არ უთქვამს ჩვენს ბელადსო! ვინ დაუგდო მაშინ ყური იმ კაცს. ახლა ეს ლოზინგი ისე ჩქაროსნულად ხორციელდება ევროპაში, რომ მისი „სიკეთე" იმ თავდადებულმა ნეოლიბერალებმაც კი გაიგეს, რომლებიც ამ ასი წლის წინ ნატრობდნენ: ნეტავი, ლენინ-ტროცკის მსოფლიო რევოლუციის ხმა ჩვენს მამულშიც გაგვაგონაო.

**ჰოდა, „გიხაროდენ!" ჭკუა-გონებითა და ზნეობრივად გაღლეტილები ყველა ქვეყნისა ერთიანდებიან!**

**აი, კაცს რომ რძლად მოგიყვანს შენი ვაჟი და ქალიშვილი სიძედ რომ წარმოგიდგენს საყურეებიან და პომადით მოდღაბნილ ძუძუებ-მოშიშვლებულ ქალს, ე, მაშინ იძახე „ვივა, დემოკრატია, ვავა ჩემო ოჯახოო!". გინდათ ეს?**

**თუ არ გინდათ, იმოქმედეთ! გადარჩენის იმედი ჯერ კიდევ არის!**



**ზურაბ ცუცქირიძე,**
პედაგოგიკის დოქტორი,
განათლების აკადემიის წევრი.
555 56-75-37

# როცა სწავლა ძირშიც მწარეა და... კენწეროშიც!

(მეოთხე გვერდიდან)

**– გამორიცხული არ არის, სამი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიდან ორი დატოვონ და ერთი ამოიღონ. „შუშანიკის წამება", „აბო თბილელის ცხოვრება", „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", ამ ნაწარმოებებიდან რომელს უნდა შეელიონ?**

– არ ვიცი, მაგრამ შესაძლოა, უკეთესი იყოს, ორი ნაწარმოები ასწავლონ კარგად, ვიდრე სამი – ცუდად. თუ ამაზეა საუბარი, შეიძლება დავეთანხმოთ კიდეც. „აბო თბილელის ცხოვრება" შეიძლება ცოტა პრობლემური იყოს მუსლიმანი მოწაფეებისთვის, რადგან აბო მუსლიმანობიდან ქრისტიანობაზე გადავიდა. „აბო თბილელის ცხოვრებაში" წერია, რომ ქრისტიანობა ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, რის გამოც აბომ ისლამი მიატოვა, ქრისტიანობა მიიღო და სწორედ ამიტომ დაისაჯა სიკვდილით. აზერბაიჯანელები და ქართველი მუსლიმანები არიან ჩვენს სკოლებში, ასევე – ჩეჩნები, ქისტები, მათი თვალთახედვით თუ შევხედავთ ამ ნაწარმოებს, შეიძლება არ იყოს მისაღები. ამის ნაცვლად, შეიძლება შეიტანონ დამატებით საკითხავად, ვისაც უნდა, წაიკითხოს „აბო თბილელის ცხოვრებაც" და „ასურელ მამათა ცხოვრებაც".




**– რაც შეეხება „შუშანიკის წამებას", ეს ქართველთა პირველი წერილობითი ძეგლია, თუმცა, სინამდვილეში, უფრო ადრეულ წერილობით ძეგლად შეიძლება ჩავთვალოთ „წმინდა ნინოს ცხოვრება". ხომ არ ფიქრობთ, რომ დადგა დრო, „წმინდა ნინოს ცხოვრება" ისწავლებოდეს სკოლებში?**

– დიახ, პირადად მე „წმინდა ნინოს ცხოვრებას" და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას" შევიტანდი სასკოლო პროგრამაში. „მოქცევაი ქართლისაი" და „წმინდა ნინოს ცხოვრება" ძალიან ძველია, როგორც ირკვევა, პირველი ვერსიები მაშინვე დაიწერა, მეოთხე საუკუნეში, მართალია, ჩვენამდე მოღწეული ტექსტი უფრო გვიანდელია და ითვლება, რომ „შუშანიკია" ყველაზე ძველი ნაწარმოები, მაგრამ თვითონ ტექსტუალურად, ამბის მოყოლის თვალსაზრისით, „წმინდა ნინოს ცხოვრება" უფრო ძველი ჩანს.

**რატომ უჭირთ თანამედროვე მოსწავლეებს ჰაგიოგრაფიის აღქმა? ასე ძლიერია ლიტერატურული დაშორება ჰაგიოგრაფიული პერიოდის ნაწარმოებებთან „ტიკ-ტოკის" თაობაში? ხომ არ სჯობს, სასულიერო პირებმა ასწავლონ ჰაგიოგრაფია, რადგან მნიშვნელოვანია, ვინ ასწავლის რელიგიური ხასიათის ლიტერატურას - სარწმუნოების საკითხებში გათვითცნობიერებული, თუ გაუთვითცნობიერებელი პედაგოგი, რადგან ჰაგიოგრაფია ქრისტიანულ სარწმუნოებას ეფუძნება.**

- ასე, შეიძლება „ვეფხისტყაოსანიც" შეაძულონ მოსწავლეს და ილია ჭავჭავაძეც, გააჩნია, როგორ ასწავლიან. ჩვენთან 2000 სკოლაზე მეტია, დაახლოებით ამდენივე მღვდელი გვყავს, საიდან მოვიყვანთ 2000 მღვდელს, რომელიც ამ საგანს ასწავლის?! სხვას რომ თავი დავანებოთ, თუ შეძულებაზეა საქმე, ზოგიერთმა მღვდელმა შეიძლება სარწმუნოება უფრო მეტად შეაძულოს მოსწავლეს, ვიდრე მასწავლებელმა. ამ საკითხში სიფრთხილე გვმართებს, „შუშანიკის წამებასთან" დაკავშირებით შეიძლება იყოს კომენტარები, რა გახდა, ამ სარწმუნოების გამო შუშანიკმა ქმარი მოიძულა, შვილები მოიძულა, არის ასეთი შეფასებაც, რომ შუშანიკი ზედმეტად რადიკალური იყო. მით უმეტეს, ჩვენთან ებრძვიან რელიგიურ რადიკალიზმს, ამიტომ ასეთი მოსაზრებებიც შეიძლება შეგვხვდეს. ამ მხრივ კარგი იქნებოდა, „მოქცევაი ქართლისაი" და უშუალოდ „წმინდა ნინოს ცხოვრება", რომელიც „მოქცევაი ქართლისაის" ნაწილია, ასევე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" გვესწავლებინა სკოლებში. ამას აუცილებლად უნდა ახლდეს ლექსიკონი ახალ ქართულად. ხანდახან გვგონია, რომ ძველი ქართული გვესმის, სინამდვილეში, არ გვესმის. სიტყვებმა შეიცვალა მნიშვნელობა. მაგალითად, სახარებაში წერია, „არა იქორწინებენ" და „არა განქორწინდებიან", დღევანდელი ადამიანები რომ კითხულობენ, განქორწინება ჰგონიათ განქორწინება, დაშორება, სინამდვილეში, ძველ ქართულად განქორწინება ნიშნავს ქალის გათხოვებას. იმ პერიოდში ასე ამბობდნენ, ჩემმა ვაჟიშვილმა იქორწინა, ხოლო ქალიშვილი განქორწინდაო. სიტყვებმა შეიცვალა მნიშვნელობა. მაგალითად, გრიგოლ ხანძთელის შესახებ რომ წერია „არა იმღერდაო", იმღერდა არ ნიშნავს სიმღერას, იმღერდა ნიშნავს თამაშს, ანუ ბავშვობაში გრიგოლი ბევრს არ თამაშობდა ბავშვებთან, უფრო წიგნებს კითხულობდა. ასე რომ, ძველ ტექსტებს რომ ვკითხულობთ, გვგონია, გვესმის, სინამდვილეში, არ გვესმის. თანამედროვე ბერძნებიც სწავლობენ ძველ ბერძნულს, სხვანაირად არ გამოდის. სკოლაში ვერ ისწავლიან ამ ყველაფერს, სასულიერო აკადემიაში გვქონდა საგანი – ძველი ქართული ენა. ამიტომ საჭიროა ლექსიკონი. ჩვენ რომ გავაკეთეთ ეს პროექტი და დავარქვით „თარგმანი", ატყდა ერთი ამბავი, რა თარგმანი, ეს ერთი და იგივე ქართული ენააო. კი ბატონო, ენა იგივეა, მაგრამ შეიცვალა ეს ენაც. ძალიან კარგია, რომ ვკითხულობთ ძველ ქართულ ტექსტებს და გვესმის მაშინდელი ტექსტების 50% თუ 60%, ისიც საკითხავია, სწორად გვესმის თუ არა, მაგრამ არ შეიძლება, ამდენი საუკუნის განმავლობაში ენას არ განეცადა ცვლილებები.

**– ბერძნები ახსენეთ და მათაც შეამცირეს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების რაოდენობა სკოლებში, მხოლოდ ორი ნაწარმოები დატოვეს, არადა, ბერძნებისგან მოდის ჰაგიოგრაფია. როგორ ფიქრობთ, ბერძნებიც სასკოლო პროგრამის გამარტივებას ესწრაფვიან,?! მით უმეტეს, რომ თანამედროვე ბერძნებს არ ესმით ძველ ბერძნულად დაწერილი ნაწარმოებები?**

– ვერ გეტყვით ამის მიზეზებს, მაგრამ, საერთოდ, სასკოლო პროგრამებში გამარტივების ტენდენცია არსებობს. ჩვენს თაობაშიც არ ესმოდათ ძველი ქართული ტექსტები. კლასის ნახევარი (თუ მეტი არა) საერთოდ არაფერს არ სწავლობდა, არც ქართულს, არც მათემატიკას, არც ისტორიას... რასაკვირველია, აქ აუცილებლად შემოდის სარწმუნოების საკითხები. იმისთვის, რომ სწორად გაიგო ჰაგიოგრაფია, უნდა გესმოდეს ქრისტიანული სარწმუნოება. აქაც საჭიროა განმარტებები, რა არის მოწამე, ბერმონაზვნური ცხოვრება, მოციქული, მოციქულთა სწორი.



**– ხშირად გვესმის, ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების სრულყოფილად გაგება ხომ ერთი დიდი თავის ტკივილია და მეორე თავის ტკივილია ასეთი რთული ტექსტების საზეპიროების დასწავლა. თუმცა ერთი რამ უდავოა, საზეპიროები შეიძლება მოსწავლემ სკოლის პერიოდში გაუაზრებლად დაიზეპიროს, მაგრამ წლების შემდეგ ბევრად უფრო კარგად გაიაზრებს მის შინაარსს.**

– საზეპიროები აუცილებელია. დღესაც მახსოვს ის საზეპიროები, რაც სკოლაში ვისწავლე. ადრე მათემატიკას ვასწავლიდი, დამესწრნენ გაკვეთილზე, მაშინ ახალგაზრდები იყვნენ ადმინისტრაციაში, შენიშვნა მომცეს, რაც ახსენი, მეშვიდეკლასელები ამას ვერ გაიგებენო, სამწუთიანი ლექცია იყო, ეს მათთვის ბუნებრივი არ არის, ვერ აღიქვამენო. მე ვუთხარი, ექვსი წლის ბავშვებს ხომ ასწავლით წერა-კითხვას, მაშინ ესეც არ არის ბუნებრივი ბავშვისთვის-მეთქი. ასე არ შეიძლება ყველაფერზე იმის თქმა, რომ ბავშვს უჭირს სწავლა. ცოტა უნდა გაუჭირდეს, მოსმენაც უნდა ისწავლოს, დაზეპირებაც და ყველაფერი ცოტ-ცოტა უნდა იცოდეს. თუ არ გაგიჭირდა, ისე ვერ ისწავლი. დედაჩემი პროფესორი გახლდათ, ქართულს ასწავლიდა და ძალიან განიცდიდა, მაგალითად, „კაკო ყაჩაღი" რომ ამოიღეს სასკოლო პროგრამიდან, „კაკო ყაჩაღი" ჩვენი ისტორიაა, ძალიან მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, სოციალური თემაა, შეიძლება, ისეთი პოეზია არ არის ილიასი, როგორიც აკაკის, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია „კაკო ყაჩაღი", ჩვენს თაობაში ყველამ იცოდა „კუდიგორის გზა". ახლა ამას მიადგებიან და ამოიღებენ, მერე იმას ამოიღებენ და აღარ დარჩება ერთი მთლიანობა.

ესაუბრა
**მანანა ნოზაძე**

# ხერხი სჯობია ღონესა, თუ ქურდი მოიგონებსა...



# როგორ იპარავდნენ უნიკალურ რუსულ წიგნებს ქართველები ევროპაში

**ბოლო ორი წლის განმავლობაში ევროპის ათამდე ბიბლიოთეკიდან 2 მილიონი ევროს ღირებულების რარიტეტული გამოცემებია მოპარული. ქურდების ორგანიზებული ჯგუფის წევრებს შორის ქართველებიც არიან.**

**„რადიო თავისუფლება“ დასავლურ მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით ცდილობს აღადგინოს სურათი, როგორ ძარცვავდნენ საქართველოს მოქალაქეები ევროპული ბიბლიოთეკების ფონდებს ორი წლის განმავლობაში.**

მედია ამ ამბის გაშუქებისას წერდა, რომ ეს იყო წიგნების ყველაზე დიდი ძარცვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. პოლონეთის, ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთის, საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიისა და ფინეთის ბიბლიოთეკებიდან რუსი მწერლების, ძირითადად პუშკინის ადრეული გამოცემებია დაკარგული.

**ევროპული ბიბლიოთეკების ფონდებიდან ათობით წიგნის მოპარვას „ოპერაცია პუშკინი“ შეარქვეს, მიუხედავად იმისა, რომ მძარცველებმა პუშკინის გარდა წაიღეს სხვა რუსი ავტორების, ლერმონტოვის, გოგოლისა და დოსტოევსკის წიგნები, მათ ნაცვლად კი გაყალბებული ასლები დატოვეს. წიგნის მძარცველებმა უმეტეს შემთხვევაში მოახერხეს მოპარული რარიტეტების უსაფრთხო ადგილას გადამალვა – მათგან რამდენიმე რუსულ აუქციონებზე გატანილ წიგნებს შორის ამოიცნეს.**

**ეს ქურდობა შეადარეს ბვირგვინიდან ძვირფასი თვლების ამოცლასაც – ბიბლიოთეკები, რომლებმაც ძვირფასი გამოცემები დაკარგეს, ამ წიგნებს განადგურებისგან ათწლეულების განმავლობაში იცავდნენ – მსოფლიო ომებისა და პოლიტიკური კატაკლიზმების პარალელურად.**

2023 წლის ნოემბერში, როცა საფრანგეთში „წიგნებზე მონადირე“ ორი ჯგუფის წევრების ვინაობა გაშიფრეს, გაირკვა, რომ მათ კავშირი ჰქონდათ მანამდე პოლონეთის, ლიეტუვის, ესტონეთისა და შვეიცარიის ბიბლიოთეკებში მომხდარ ქურდობებთან. ასე გაირკვა, რომ „ინტელექტუალური ქურდობის“ უკან თაღლითების ორგანიზებული ჯგუფი იდგა. ამ ჯგუფის წევრებზე არც ქართველი და არც ევროპელი სამართალდამცველები ჯერ ბევრს არაფერს ამბობენ – გამოძიება გრძელდება და დაკავებულების ადვოკატებსაც გაუთქმელობის პირობა აქვთ დადებული. დადასტურებით შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ ყველა, ვინც ამ ორგანიზებული ჯგუფის წევრობის ბრალდებით არის ჯერჯერობით დაკავებული, საქართველოს მოქალაქეა.

### ძარცვა პარიზსა და ლიონში

**2023 წლის 20 ნოემბერს საფრანგეთში საქართველოს სამი მოქალაქე, ორი ქალი და ერთი კაცი დააკავეს რარიტეტული წიგნების მოპარვის ბრალდებით. გამოძიება მათ კრიმინალური ჯგუფის წევრებად მიიჩნევს და საფრანგეთის რამდენიმე ბიბლიოთეკიდან პუშკინის ავტორობით გამოცემული ძველი წიგნების ქურდობას ედავება. ქართველი მძარცველების ასაკია 24, 26 და 44 წელი. ქალები ერთი ოჯახის წევრები არიან. საფრანგეთში ამ ჯგუფმა სავარაუდოდ პირველად ლიონში იქურდა 2023 წლის 3 ივლისს.**

ამ დღეს 30 წლამდე კაცი, გაუპარსავი წვერით და ზოლიანი მაისურით ბიბლიოთეკაში მივიდა როგორც სტუდენტი, გამოითხოვა პუშკინის მეცხრამეტე საუკუნეში გამოცემული 10 წიგნი და სამკითხველო დარბაზში დაჯდა სამუშაოდ. ორი საათის შემდეგ ამავე დარბაზში შევიდა სხვა კაცი, რომელმაც ბიბლიოთეკარს რაღაც ჰკითხა ინგლისურად – სანამ ის მკითხველს პასუხობდა, „ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტმა“ ძვირფასი წიგნები ბიბლიოთეკიდან გაიტანა. გამოძიებამ დაადგინა, რომ მან ლიონის ბიბლიოთეკაში გაყალბებული ბელგიური პირადობის მოწმობა გამოიყენა. მოპარული წიგნებიდან ერთ-ერთია „ბორის გოდუნოვის“ 1825 წლის პირველი გამოცემა. ამ რარიტეტული წიგნის საწყისი ფასი რუსულ აუქციონზე 70 000 ევროა.




ვარშავის ბიბლიოთეკაში დაცული პუშკინის „კავკასიელი ტყვის“ პირველი გამოცემის ასლი, ორიგინალი გამოცემულია 1822 წელს.

# „ოპერაცია პუშკინი“

ამ შემთხვევას მოჰყვა 10 ოქტომბერს ქურდობა პარიზში, მე-13 ოლქში, აღმოსავლური ენებისა და ცივილიზაციის ეროვნულ ინსტიტუტში, საიდანაც ორმა მძარცველმა ღამით რამდენიმე ათეული ხელნაწერი გაიტაცა და ავტომობილით მოახერხა გაქცევა.




„ევგენი ონეგინის“ პირველი გამოცემა

მძარცველებიდან ერთ-ერთი ამჯერად გაყალბებული ბულგარული პასპორტით შევიდა ბიბლიოთეკაში, როგორც პუშკინის ლიტერატურით გატაცებული სტუდენტი.

გამოძიებამ პარიზისა და ლიონის ბიბლიოთეკებში კალამსა და ტყავის ქამარზე დატოვებული იდენტური დნმ აღმოაჩინა და დაასკვნა, რომ მძარცველები ერთი და იგივე ადამიანები არიან. სავარაუდოდ, იგივე ხალხი მონაწილეობდა შვეიცარიაში ჟენევაში პუშკინის გამოცემების ქურდობაშიც – ამ დანაშაულისთვის იძებნებოდა 24 წლის საქართველოს მოქალაქე მის თანამზრახველთან ერთად. ჟენევის ბიბლიოთეკიდან გამქრალია პუშკინის მე-19 საუკუნეში გამოცემული ანთოლოგია.

ამ ახალგაზრდა მძარცველების გარდა საფრანგეთში რუსულ რარიტეტულ გამოცემებზე უფრო დახვეწილი და უსაფრთხო მეთოდებით „ნადირობდა“ მძარცველთა სხვა ჯგუფიც. ამ ჯგუფის იდენტიფიცირებული წევრებიც საქართველოს მოქალაქეები არიან.

„დახვეწილ მძარცველთაგან“ ერთი, 48 წლის მიხეილ ზ., 2023 წლის მარტიდან ოქტომბრის ჩათვლით 40-ზე მეტჯერ ესტუმრა პარიზის სხვადასხვა ბიბლიოთეკას პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლისა და დოსტოევსკის წიგნების გასაცნობად –– დამტვრეული ფრანგულით ის ბიბლიოთეკარებს უხსნიდა, რომ მუშაობდა კვლევაზე **„დემოკრატია მე-19 საუკუნის რუსულ ლიტერატურაში“** და სარგებლობდა მათი სამკითხველო დარბაზებით. „თემაზე მუშაობისას“ მან იშვიათი გამოცემები მაღალი ხარისხის ასლებით ჩაანაცვლა. 9 წიგნიდან 7-ის ასლი თითქმის უზადოდ არის შესრულებული – ნაძარცვის ღირებულება 650 000 ევროს აღწევს.

მიხეილ ზ. 2023 წლის 8 ნოემბერს ბელგიის აეროპორტში დააკავეს – გამოძიება ეჭვობს, რომ ის მონაწილეობდა არა მხოლოდ პარიზის, არამედ ვარშავისა და ვილნიუსის ბიბლიოთეკების ძარცვაშიც. ფრანგული მედიის ცნობით, კაცი ბევრს მოგზაურობდა ევროპაში და საკმაოდ ხელგაშლილად ცხოვრობდა: რჩებოდა სასტუმროებში, სადილობდა რესტორნებში, მგზავრობდა ტაქსით.

საფრანგეთის პოლიცია თვლის, რომ მიხეილ ზ.-ს ჰყავდა თანამზრახველიც, ვინმე ვალერიან რ. მისი ვიზიტები საფრანგეთის ბიბლიოთეკებში ემთხვეოდა მიხეილ ზ.-ს ვიზიტებს სამკითხველო დარბაზებში. ისიც რუსული წიგნებით იყო დაინტერესებული და, გარდა ამისა, მის ტელეფონში პოლიციამ ამ წიგნებისთვის გადაღებული ფოტოები და გამოცემების დეტალური აღწერები იპოვა, კამერების ჩანაწერებში კი ჩანს, როგორ ზომავს ის სახაზავით რარიტეტულ გამოცემებს. პოლიცია ვარაუდობს, რომ სწორედ ამ ჩანაწერების, ნახაზებისა და ფოტოების დახმარებით დამზადდა წიგნების ზუსტი ასლები. ტელეფონში აღმოჩენილ საუბრის ჩანაწერებში ის ამბობს, რომ ასლების დამზადებას 2-3 კვირა სჭირდება, ის წიგნები კი, რაც მან ლიონში ნახა, ოცი ათას ევრომდე მოგებას მოუტანს.

58 წლის ვალერიან რომელიც საფრანგეთში ტურისტის სტატუსით ჩავიდა, როგორც ძველი წიგნების გამყიდველი და ანტიკვარიატით მოვაჭრე, საქართველოში მძღოლად მუშაობდა. საფრანგეთის პოლიციისთვის მიცემული ჩვენება მან რამდენჯერმე შეცვალა: ერთ-ერთი ვერსიით, მას ცნობისმოყვარეობა ამოძრავებდა, ვინაიდან რუსული წიგნების ასეთი გამოცემები საქართველოში იშვიათობაა. სხვა ჩვენებაში ის ამბობს, რომ რარიტეტული გამოცემების ასლებს საქართველოში გასაყიდად ამზადებდა. გამოძიების ვერსიით, მძარცველს ბიბლიოთეკებიდან წიგნები გამოჰქონდა და ასლები შეჰქონდა ხელის სახვევით, რომელიც ისე ჰქონდა აკრული, რომ თაბაშირში ჩასმულის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

„რადიო თავისუფლებას“ საფრანგეთის პოლიციაში უთხრეს, რომ გამოძიება მიმდინარეობს და დასრულებამდე დეტალებზე საუბრისგან თავს შეიკავებენ. ვალერიან რ.-ს ადვოკატმა პარიზში – დილან სლამამ კი გვითხრა, რომ მას გაუთქმელობის პირობა აქვს დადებული და ამ თემაზე ლაპარაკი არ შეუძლია.

საფრანგეთში დაკავებული საქართველოს მოქალაქეების შესახებ ინფორმაციას არც ქართული სახელმწიფო უწყებები გასცემენ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამტკიცებს, რომ საქართველოს მოქალქეების საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულები მათი კომპეტენციის სფერო არ არის, პროკურატურაში კი მხოლოდ ის გვითხრეს, რომ საქართველო ჩართულია ამ ტრანსნაციონალურ გამოძიებაში და ამ ეტაპზე არც ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა არ შეუძლიათ.

პარიზსა და ბრიუსელში წიგნის ქართველი ქურდების დაკავების შემდეგ, საკუთარი ფონდების გადამოწმება დაიწყეს ევროპის მსხვილმა ბიბლიოთეკებმა, სადაც რუსი მწერლების იშვიათი გამოცემები ინახება – გადამოწმებისას დანაკლისი 2024 წლის



პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთი სამკითხველო დარბაზი



ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა

იანვარში აღმოჩნდა ბერლინის ბიბლიოთეკაში, რომლის ფონდიდან გამქრალია 1827-1831 და 1914-1917 წლებში, რუსეთსა და საქართველოში გამოცემული რუსულენოვანი წიგნები.

## ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ყველაზე დიდი ძარცვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

**პარიზში საქართველოს მოქალაქეების დაკავების პარალელურად, 2023 წლის ნოემბერში ცნობილი გახდა, რომ პოლონეთში, ვარშავის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან მოპარულია ათობით წიგნი, რომელთა ღირებულება 500 000 ევროს აღემატება. როცა პოლონეთის პროკურატურამ ამ საქმის გამოძიება დაიწყო, მოპარული წიგნების ნაწილი უკვე გაყიდული იყო რუსულ ლიტერატურულ აუქციონებზე.**

ვარშავის პოლიციამ გამოძიება ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის მოთხოვნით დაიწყო 2023 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში, მას შემდეგ, რაც გაჩნდა ეჭვი, რომ ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა ვიზიტორმა წასაკითხად აღებული 8 წიგნის ნაცვლად ბიბლიოთეკას მათი ასლები დაუბრუნა. გამოძიებისას, როცა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ფონდი შეამოწმეს, გაირკვა, რომ ფონდებიდან გამქრალი იყო პუშკინისა და გოგოლის პირველი გამოცემების არა 8, არამედ 78 წიგნი.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი ანა ვოლოდკო სამსახურიდან გაათავისუფლეს სამსახურებრივი გულგრილობის გამო, გამოძიებამ კი თქვა, რომ ქურდები, ყველაზე ცოტა, 2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის 16 ოქტომბრამდე ძარცვავდნენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას. ანა ვოლოდკოს შემცვლელმა, იოლანტა ტაბლიერსკამ პოლონელ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ეს იყო „ყველაზე დიდი ძარცვა ვარშავის ბიბლიოთეკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“. „რადიო თავისუფლება“ ცდილობს მასთან ინტერვიუს ჩაწერას.




**ვარშავის ბიბლიოთეკიდან მოპარული წიგნების გაყალბებული ასლები**

კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც მძარცველებმა პოლონეთის ბიბლიოთეკიდან მოიპარეს, დაცული იყო ორი მსოფლიო ომისა და ორი ეროვნული აჯანყების პირობებში. მეორე მსოფლიო ომის დროს ვარშავის ბიბლიოთეკის მცველებმა ორმაგი ჭერი გაუკეთეს შენობას, რომ წიგნები ბომბებისა და ხანძრისგან დაეცვათ.

პოლონეთის ბიბლიოთეკის ქურდობის საქმეში ორი ბრალდებულია – ქალი და კაცი, სასამართლოში მათი საქმის განხილვა დასრულებული არ არის. ორივე საქართველოს მოქალაქეა.

## რუსეთის ცენზურის ისტორიის შესწავლის ნაცვლად ძარცვა ესტონეთში

**პოლონეთამდე მძარცველებმა ბალტიის ქვეყნების ბიბლიოთეკებიდან გაიტანეს რარიტეტული გამოცემები. 2022 წლის დეკემბერში ესტონური მედია წერდა, რომ რუსული იშვიათი გამოცემების ქურდებმა ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაც გაძარცვეს, საიდანაც 158 ევროს ღირებულების 8 იშვიათი გამოცემა მოიპარეს. მეცხრამეტე საუკუნის წიგნები მძარცველებმა ასლებით ისე ოსტატურად ჩაანაცვლეს, რომ ეს ქურდობა მხოლოდ 5 თვის შემდეგ აღმოაჩინეს.**

ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ძარცვაში პარიზის ბიბლიოთეკის მძარცველი და ბელგიაში დაკავებული, 48 წლის მიხეილ ზ.-ა ეჭვმიტანილი, რომელსაც ბრალი 2023 წლის სექტემბერში წარუდგინა ესტონეთის პროკურატურამ დაუსწრებლად, ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულისთვის. ის და მისი სავარაუდო თანამზრახველი, ბიბლიოთეკის ვიზიტორების ჩანაწერების მიხედვით, ქურდობამდე 10 დღით ადრე ყოველდღე დადიოდნენ ბიბლიოთეკაში.

**„აპრილში ორი კაცი, ერთი შედარებით ასაკოვანი და ერთიც ახალგაზრდა, ტარტუს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერების განყოფილებაში მივიდნენ და თქვეს, რომ დაინტერესებულები იყვნენ მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში ცენზურისა და ბეჭდვითი პოლიტიკის საკითხების შესწავლით. სამკითხველო დარბაზში ათდღიანი მუშაობის შემდეგ, წიგნები, რომლებზეც ისინი მუშაობდნენ, აღმოჩნდა, რომ მათი ასლებით იყო ჩანაცვლებული“,** – წერდა გამოცემა Tartu Postimees.

კიდევ ერთი ესტონური გამოცემა, ohtuleht-ი კი ჰყვება, რომ მძარცველებს ჰქონდათ „ლეგენდა“. ამ ლეგენდის თანახმადაც, 30 წლამდე ახალგაზრდა უკრაინიდან დევნილი იყო, რომელიც სწავლის გაგრძელებას შეერთებული შტატების ერთ-ერთ უნივერსიტეტში აპირებდა, 50 წლამდე კაცი კი – მისი ბიძა, რომელიც ძმისშვილს კვლევებში ეხმარებოდა.

ესტონეთი ბალტიის ერთადერთი ქვეყანა არ ყოფილა, რომლის ბიბლიოთეკებშიც მძარცველებმა რუსი ავტორების წიგნები მოიპარეს. 2023 წლის მაისში ცნობილი გახდა, რომ 17 იშვიათი რუსული წიგნი მოიპარეს ლიეტუვაშიც, ვილნიუსის ეროვნული ბიბლიოთეკიდანაც – აქაც სავარაუდო დამნაშავე 48 წლის ქართველი მიხეილ ზ.-ია. ლიეტუველი გამომძიებლების ინფორმაციით, მოპარული წიგნების სავარაუდო ღირებულება 440 000 ევრო იყო.

## სად მიდის ევროპული ბიბლიოთეკებიდან მოპარული წიგნები?

**ევროპის ბიბლიოთეკებიდან მოპარული წიგნების არასრული სია ასეთია: ალექსანდრე პუშკინის 1826 წლის გამოცემა, მიხაილ ლერმონტოვის რომანის, „ჩვენი დროის გმირის“ 1826 წლის გამოცემა, ნიკოლაი გოგოლის 1841 წელს გამოცემული „ინსპექტორი“, პუშკინის პიესა „ბორის გოდუნოვი“ – 1981 წლის გამოცემა და ასევე, „პუგაჩოვის ისტორია“. მოპარულია უკრაინელი პოეტის, ტარას შევჩენკოს ლექსების 1840 წლის გამოცემაც.**

ევროპული ბიბლიოთეკებიდან მოპარული წიგნების საბოლოო დანიშნულება, სავარაუდოდ, რუსი კოლექციონერების ფონდებია – ეს გამოცემები რუსულ ლიტერატურულ აუქციონებზე ათასობით ევროდ იყიდება.

იმ დროს, როცა მოპარული წიგნები ჯერ კიდევ ევროპული ბიბლიოთეკების საცავებში ირიცხებოდა, ერთ-ერთი რარიტეტული გამოცემა, რომელიც 2022 წლის დეკემბერში მოსკოვში Litfond-ის გამართულ აუქციონზე 30 500 ევროდ იყო გატანილი, ვარშავის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ვარშავის უნივერსიტეტის ბეჭდებით და კატალოგის ნომრებით ამოიცნეს.

2023 წლის ნოემბერში ლიტფონდმა აუქციონზე გამოიტანა პუშკინის იშვიათი გამოცემების 10 ტომი, რომელთა საერთო ღირებულება 10 მილიონი რუსული რუბლი იყო. ეს არის იშვიათი შემთხვევა, როცა პუშკინის სიცოცხლეშივე გამოცემული ყველა წიგნი ერთ აუქციონზე იქნა გატანილი - ამ წიგნებიდან განსაკუთრებით მაღალი ფასი ჰქონდა პუშკინის 1826 წელს გამოცემული წიგნების კრებულს. ეს სწორედ ის წიგნია, რომელზეც ევროპაში წიგნის ქურდები გამალებით „ნადირობდნენ“. 6 მილიონ რუბლად იყიდა (67 170$) ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი“ ანონიმმა კოლექციონერმა გასულ წელს ერთ-ერთ რუსულ აუქციონზე. წიგნები, რომლებიც ევროპის ბიბლიოთეკებიდან მოიპარეს, ძალიან მაღალ ფასად იყიდება არამხოლოდ რუსულ აუქციონებზე – მაგალითად, „ევგენი ონეგინის“ პირველი გამოცემა 580 000 დოლარად გაიყიდა 2019 წელს სოტბის აუქციონზე.

ფრანგული გამოცემა Journal du Dimanche წერს, რომ ევროპის ქვეყნებში რუსი ავტორების უნიკალური წიგნების ორგანიზებული ქურდობის უკან შეიძლება იყოს ორი მოტივი: მათი გაყიდვა რუსულ აუქციონებზე და რუსული გამოცემების რუსეთში დაბრუნება. შვეიცარიული გამოცემა, რომელიც ჟენევის ბიბლიოთეკის ძარცვაზე წერდა, ხაზგასმით აღნიშნავდა იმასაც, რომ მოპარული წიგნების ნაწილი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის საყვარელი ავტორების ნაწარმოებების გამოცემებია.

**ვლადიმირ პუტინმა 2016 წელს მასწავლებლის ჯილდოს ლაურეატებთან შეხვედრისას თქვა, რომ ლერმონტოვის ლექსები მისი სამაგიდო წიგნია, რომელსაც ხშირად კითხულობს, იმისათვის, რომ გაინიავოს ტვინი და გადაინაცვლოს „ლამაზ, საინტერესო სამყაროში“. ლერმონტოვი მას იზიდავს არა მხოლოდ როგორც პოეტი, – სამხედროც, რომელიც „ყოველთვის მზად იყო სამშობლოსთვის თავი გაეწირა“. რაც შეეხება პუშკინს, მას პუტინი ეროვნულ გმირად მიიჩნევს. მისი ბრძანებით, „პუშკინის დღე“ 1997 წლიდან სახელმწიფო დღესასწაულის სტატუსს ატარებს.**

**ნასტასია არაბული**



**7 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში შედგა გამოჩენილი ქართველი პედაგოგის, ქართული პედაგოგიკის კლასიკოსის ლუარსაბ ბოცვაძის თხზულებათა ოთხტომეულის პირველი ტომის წარდგენა. წიგნი გამოცემულია რუბრიკით „ქართული პედაგოგიკის კლასიკოსები“.**

# ლუარსაბ ბოცვაძის ნააზრევი ოთხ ტომად გამოდის...

წიგნი შეადგინა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ ბოცვაძემ. წიგნის შემდგენელი გულწრფელ მადლობას უხდის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებს, რომლებიც დღეს, წიგნისა და, მით უმეტეს, სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურის სამწუხარო მდგომარეობის ფონზე, კვლავ აგრძელებენ სახელოვან ტრადიციებს და ქართულ საზოგადოებას შესთავაზეს დიდი ხნის ნანატრი პედაგოგიკის კლასიკოსის, ლუარსაბ ბოცვაძის თხზულებათა ოთხტომეულის I ტომი.

ბიბლიოთეკაში შეკრებილთ შესავალი სიტყვით მიმართა წიგნის შემდგენელმა. მან ისაუბრა გამოცემული წიგნის უდიდეს მნიშვნელობაზე. მოკლედ მიმოიხილა ლუარსაბ ბოცვაძის ბიოგრაფია და მოღვაწეობის ცალკეული ფრაგმენტები, ისაუბრა წიგნის მომზადება-გამოცემისას არსებულ პრობლემებზე, ადამიანებზე, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა წიგნს ეხილა მზის შუქი. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორმა, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ემზარ ჯგერენაიამ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა გამოცემის უდიდეს მნიშვნელობას და დამსწრეთ დეტალურად გააცნო დეპარტამენტის მუშაობის პრინციპები. წიგნის სამეცნიერო და პრაქტიკულ ღირებულებაზე ისაუბრეს ცნობილმა ქართველმა მწერალმა რეზო მიშველაძემ, ისტორიკოსმა, პროფესორმა გელა საითიძემ და სხვებმა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წიგნი არ იყიდება, იგი უფასოდ გადაეცემა წიგნის შეძენის მსურველს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. სამწუხაროდ, წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა და, საეჭვოა, ყველა მსურველს ეყოს.




**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელ მადლობას უხდის ეროვნული ბიბლიოთეკის მესვეურთ წიგნის გამოცემაში ჩადებული დროისა და ენერგიის გამო. განსაკუთრებული მადლობა კი წიგნის შემდგენელს, დიდი პედაგოგის შვილიშვილს, პროფესორ ზურაბ ბოცვაძეს, რომელმაც იაკობ გოგებაშვილის ეპოქის განმანათლებელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მოაზროვნის ლუარსაბ ბოცვაძის არქივი გულდასმით შეისწავლა და დაამუშავა, რათა მკითხველისთვის მიეწოდებინა ეს უიშვიათესი გამოცემა.**

**ამირან ბუთურიშვილი**

# გამოფენაზე მეფენი და მდაბიონი ერთ ენაზე მეტყველებენ...

**დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში სიმონ-ვაჟა მელიქიშვილის ნამუშევრების რეტროსპექტიული გამოფენა გაიხსნა.**

ამ გამოფენაზე წარმოდგენილი ქანდაკებები საჯარო სივრცისთვის იყო განკუთვნილი, თუმცა მათი უმეტესობა საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა საბჭოთა იდეოლოგიასთან შეუსაბამობის გამო. ვაჟა მელიქიშვილის ნამუშევრებისთვის უცხოა სოციალისტური რეალიზმისათვის დამახასიათებელი დიდაქტიზმი. მის შემოქმედებაში ერთ ენაზე ლაპარაკობენ მეფეებიც და ზღაპრის გმირებიც. გამოფენაზე ფოტო და ვიდეომასალის სახით არის წარმოდგენილი ვაჟა მელიქიშვილის მიერ საბჭოთა პერიოდში ქ. სენაკში დადგმული კუბი.

მისი ოფიციალური სახელწოდების – „დიდების კუბის“ მიუხედავად, ავტორი მას „ხსოვნის კუბს“ უწოდებდა. კუბს, ზომის გარდა, დიდებასთან არაფერი აკავშირებს და ომს იმ დროისათვის უჩვეულოდ ტრაგიკული და არა ჰეროიკული კონტექსტით წარმოგვიდგენს. სიმონ-ვაჟა მელიქიშვილი ცხოვრობდა და მუშაობდა თბილისში. სიცოცხლეში ხელოვანის მხოლოდ ერთი გამოფენა გაიმართა მის გარდაცვალებამდე ორი წლით ადრე, 2002 წელს, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში. მაშინ გამოიფინა მისი მხოლოდ რამდენიმე სკულპტურა, ახლანდელი გამოფენა კი საზოგადოებას საშუალებას აძლევს, უკეთ გაეცნოს ხელოვანის შემოქმედებას, ქანდაკებებთან ერთად დაათვალიეროს მისი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრებიც.

2021 წელს, 30-წლიანი წყვეტის შემდეგ, საქართველოს კულტურის სამინისტრომ პროექტის - „ქართული კულტურისათვის მნიშვნელოვანი კერძო კოლექციების ერთიანობის შენარჩუნება/სამუზეუმო ფონდების შევსება“ – ფარგლებში სამუზეუმო ფონდების შევსება დაიწყო და შეიძინა ქართველი ხელოვანების, მათ შორის, სიმონ-ვაჟა მელიქიშვილის მიერ შექმნილი ნამუშევარი „მემატიანე“, რომელიც 12 დამოუკიდებელი ქანდაკებისგან შემდგარი კომპოზიციაა.



◉ მსოფლიო რუკაზე

# დიდი წარმატებით

**ამ დღეებში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით (FIS) ბაკურიანში „სკი კროსის“ დისციპლინაში მსოფლიო თასის ეტაპი გაიმართა.**

საერთაშორისო ღონისძიებაში მსოფლიოს წამყვანი 12 ქვეყნის (შვეიცარია, შვედეთი, კანადა, ავსტრალია, ჩილე, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, საქართველო, გერმანია, იტალია, იაპონია, აშშ) 60 სპორტსმენმა იასპარეზა. საქართველოს სახელით დავით თედიაშვილი გამოვიდა, საშეჯიბრო ტრასა კი ქართველმა ათლეტებმა – ლაშა კურტანიძემ და ბექა ბერძენიშვილმა გახსნეს.

საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) მხრიდან ღონისძიებას დაესწრნენ და საორგანიზაციო პროცესებში მონაწილეობდნენ შეჯიბრების დირექტორი კლაუს ვალდნერი და ტექნიკური დელეგატი ანდრეას გიორლიხი. ფორუმს საერთაშორისო მედია აშუქებდა, პირდაპირ ეთერში კი „ევროსპორტზე“ გადაიცემოდა.



საქართველომ წარმატებით უმასპინძლა მსოფლიო თასის ეტაპებს მოგულსა და სნოუბორდ კროსის დისციპლინებში. შეჯიბრებები საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის (FIS) მხრიდან დადებითად შეფასდა, როგორც ინფრასტრუქტურული, ისე საორგანიზაციო კუთხით. 2024 წლის დასკვნითი ღონისძიება ბაკურიანში, დიდველის არეალში გაიმართა.

შარშან საქართველომ ბაკურიანში უმაღლეს დონეზე უმასპინძლა მსოფლიო ჩემპიონატს ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში, შესაბამისად, საპატიო ადგილი დაიკავა მსოფლიო რუკაზე ზამთრის ტურიზმის მიმართულებით. წარმატებით ჩატარებულმა ჩემპიონატმა განაპირობა FIS-ის ყურადღება ჩვენი ქვეყნისადმი, სწორედ ამიტომ საქართველო, კერძოდ კი, გუდაური და ბაკურიანი ყოველწლიურ კალენდარში მოხვდა. ღონისძიება საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის ტრასების სააგენტოსა“ (MTA) და სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა, ხოლო შეჯიბრების სპონსორი კომპანიები არიან „ბორჯომი“,“თიბისი“ „რედკო“, და „სილქნეტი“.

◉ მომავალი მათია

# საკუთარ კედლებში



**„თბილისი არენაზე“ დასრულდა ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის წინასწარი ეტაპი. კადეტებში, იუნიორებსა და 21-წლამდელებში გამოვლინდნენ ფინალისტები და წყვილები, რომლებიც ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლებენ.**

ტურნირის მეორე დღეს საქართველოდან წარმატებით იასპარეზეს ევროპის მოქმედმა ჩემპიონებმა უტა ფონიავამ და იკა სულამანიძემ, რომლებმაც ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს. უტა იუნიორებში -68 კგ წონით კატეგორიაშია, ხოლო იკა – ახალგაზრდებში – -67 კგ-ში.

შეგახსენებთ, რომ პირველ დღეს ფინალში ასევე გავიდა კადეტი გიგი ალანია (-52 კგ).

საქართველოს ნაკრებიდან ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლებენ ანზორ დონაძე (21-წლამდელები, -75 კგ) და ნიკოლოზ აბულაძე (კადეტები, -70 კგ). ევროპის კადეტთა, იუნიორთა და 21-წლამდელთა ჩემპიონატში მონაწილეობდა 49 ქვეყნის 1160 სპორტსმენი.

◉ მსოფლიო თასი

# სიურპრიზს გვიმზადებს



სანდრო ბაზაძემ თბილისში მიმდინარე მსოფლიო თასზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ქართველმა ხმლით მოფარიკავემ ტურნირის შესახებ შემდეგი კომენტარი გააკეთა:

**„რა თქმა უნდა, წაგებას არ ველოდი, მაგრამ ასეც ხდება. მცირე ტრავმა მაწუხებდა და სასურველ კონდიციებში არ ვიყავი. მიუხედავად ამისა, ბრინჯაოს მედალი მოვიპოვე და, ჩემი აზრით, ეს ნორმალური შედეგია, რადგან ოლიმპიურ ლიცენზიას მივუახლოვდი – ჩემი მთავარი მიზანი სწორედ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაა.**

**დიდი მადლობა გულშემატკივრებს, კარგი იქნებოდა, დღეს მოეგო და სპორტის სასახლეში მოსული ქომაგი გამეხარებინა, მაგრამ მათ უფრო დიდ სიურპრიზს ვუმზადებ და მინდა, ისინი ბევრჯერ გავახარო“,** – განაცხადა სანდრო ბაზაძემ.

თბილისის სპორტის სასახლეში ხმლით მოფარიკავეთა მსოფლიო თასის ეტაპზე პლანეტის ნომერ პირველმა მოფარიკავემ ნახევარფინალში დაძაბული შეხვედრა ირანელ სპორტსმენთან 13:15 წააგო და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, გამარჯვებული კი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, უნგრელი არონ სილადი გახდა.

◉ ერთა ლიგა

# ამერიკის მისადგომებთან

**როგორც მოგეხსენებათ, 2026 წლის საფეხბურთო მუნდიალს პირველად უმასპინძლებს ერთბაშად 3 ქვეყანა – აშშ, მექსიკა და კანადა, მის მონაწილეთა შორის კი, ვიმედოვნებთ, საქართველოს ეროვნულ ნაკრებსაც ვიხილავთ, რომლის მომავალ მეტოქეთა ვინაობაც ერთა ლიგის შესარჩევ ტურნირში პარიზში გამართულმა წილისყრამ გამოავლინა.**




ესენი არიან ჩეხეთი, რომელსაც ჯერ არ შევხვედრივართ, უკრაინა – მასთან 9 მატჩიდან 3 ფრედ დავასრულეთ და 6 წავაგეთ, და ალბანეთი – 15 შეხვედრიდან 8 მოვუგეთ, 4 ფრედ ვეთამაშეთ და 3 წავაგეთ. შედარებისთვის გეტყვით, რომ ჩვენთვის ახალ ხილ „ბ“ დივიზიონში წლეულს შემოდგომაზე თვით ფეხბურთის სამშობლო ინგლისი გამოვა, რომელიც შარშან დაქვეითდა და, საბედნიეროდ, აგვცდა, ასე რომ, ფინალური რაუნდის საგზურის პირველად მოსაპოვებლად სავსებით საფუძვლიანი ამბიცია გაგვაჩნია, მთავარი კონკურენტი კი, სავარაუდოდ, ტრადიციულად უხერხული მეტოქე უკრაინა იქნება, რომლის 10 წევრიც ტოპ-5 ქვეყნის კლუბებში თამაშობს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ევრო – 2025-ის დასკვნით ეტაპზე გასვლის შემთხვევაში ჯგუფის ერთ-ერთ მატჩს სწორედ ჩეხებთან გავმართავთ.

რაც შეეხება კალენდარს, სექტემბერში ვეთამაშებით ჩეხებს (შინ) და ალბანელებს (სტუმრად), ოქტომბერში – უკრაინას (ნეიტრალურზე) და ალბანეთს (შინ), ხოლო ნოემბერში – უკრაინას (შინ) და ჩეხეთს (სტუმრად).

◉ რაგბი ჩვენი თამაშია



# მოზომილი „ავჭალური“

**რაგბის თამაში რომ ყველამ ისწავლა, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ავჭალის სტადიონზე ნიდერლანდებთან გამართული რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრამ, განსაკუთრებით – მისმა პირველმა ტაიმმა, როცა დროის დაახლოებით ნახევრის განმავლობაში მდევრის როლში ვიყავით.**

სხვათა შორის, ტურნირის სტარტზე სტუმრებს ძლივს გადაურჩა ესპანეთი, ასე რომ, ბორჯღალოსანთა ახალ ინგლისელ თავკაცს რიჩარდ კოკერილს სადებიუტო საშინაო ჯახში მეტოქის გასატეხად დამატებითი ძალისხმევა მართებდა და ეს მისმა შეგირდებმა შესვენების შემდეგ მოახერხეს.

არადა, ყველას კარგად გვახსოვს ნარინჯისფერებთან ძლევამოსილად გადატანილი 6 უთანასწორო ბრძოლა, თუმცა არც იქაურ ქალაქ კასტრიკუმში მათთან ისტორიაში პირველ შეხვედრაში ნაწვნევ ალიყურს ვივიწყებთ უკვე შორეულ 1995 წელს – 3:55(!), როცა შორეულ ოდისეაში ავტობუსით გავემგზავრეთ და მასპინძლებთან გასამკლავებლად დენთი მხოლოდ 30 წუთით გვეყო.

მოკლედ, საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა – 31:3, დამდეგ შაბათს კი ისევ ავჭალაზე ჩვენს ძველ ნაცნობს – კერკეტ კაკალ ესპანეთს დავუპირებთ გატეხვას.

◉ საშუალო განათლება



# ბურთის ტრფიალნი

**სასწავლო წლის განახლება ზამთრის არდადეგებიდან დაბრუნებულმა დედაქალაქის მე-60 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა თბილისის დინამოს ლეგენდარული 1981 წლის გუნდის სტაფის ღირსეულ წარმომადგენელთა – კახი ასათიანის, სერგო კუტივაძის, პროფესორ ზაქარია თელიასა და ანზორ გაბიტაშვილის ხსოვნას მიუძღვნეს.**

მემორიალის ორგანიზატორს – ტურნირის მთავარ მსაჯს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, განათლების აღნიშნული კერის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგს ვახტანგ ბაქანიძეს მხარში ამოუდგნენ და თანადგომა აღმოუჩინეს ექიმმა-პედიატრმა შორენა ძანძავამ და მენეჯერმა თამარ ანდრიაძემ, მათი ერთობლივი ძალისხმევით კი 8 მონაწილემ დაუვიწყარი ღონისძიება გვაჩუქა.

**ფინალი.** მე-9 გ კლასი (კაპიტანი – საბა გელაშვილი, დამრიგებელი – ია გობიანი) – მე-11 ა კლასი (კაპიტანი – 5 გოლის ავტორი ილია ჯიჯელავა, დამრიგებელი – მარინე დავითულიანი) 7:6. მესამე პრიზიორი გახდა მე-10 გ კლასი (კაპიტანი – ლუკა უბირია, დამრიგებელი – ეკატერინე გიორგობიანი).

გათამაშდა ინდივიდუალური პრიზები საუკეთესოთათვის: მეკარე – ნიკოლოზ ვასაძე, ბომბარდირი – ილია ჯიჯელავა (13 გოლი), ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი – საბა გელაშვილი, ყველაზე მოაზროვნე ფეხბურთელი – ანდრია სირაძე, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი – ნიკა ხურცილავა.

დავძენთ, რომ ისინი დააჯილდოვეს მოწვეულმა საპატიო სტუმრებმა – დინამოს გამოჩენილი ექიმის ზაქრო თელიას ოჯახის წევრებმა – ციური თელიამ (შვილი, მტკიცებითი მედიცინის ცენტრის ლაბორანტი), – ალექსანდრე თელიამ (შვილიშვილი, ალერგოლოგ-იმუნოლოგი, თერაპევტი, ოჯახის ექიმი, მედიცინის აკადემიური დოქტორი), მისმა ძმამ – ზაზა თელიამ (შვილიშვილი, დერმატოლოგ-ვენეროლოგი, სპორტული მედიცინის სპეციალისტი, მედიცინის აკადემიური დოქტორი) და ოჯახის მეგობარმა ლამარა კონტუაძემ.



# „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიები“ მარნეულსა და საგარეჯოში



მარნეულისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო ფორუმი, „კულტურა, ღვინო და ტექნოლოგიების ქალაქების პლატფორმა“ ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიმართა.

ფორუმში მონაწილეობდა მსოფლიოს 10 ქვეყნის დელეგაცია, დიპლომატიური კორპუსი და სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურიდან მიწვეული სტუმრები.

სტუმრებს მუნიციპალიტეტების კულტურული და ეკონომიკური პოტენციალი გააცნეს.

# საბავშვო ბაღები სართიჭალასა და მარტყოფში



**გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფლებში სართიჭალასა და მარტყოფში 300 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღების სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.**

პროექტის აღსრულების პროცესს ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული, მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი ადგილზე გაეცნენ.

## სანთელი

# იზოლდა (ნანული) ბურძგლა



**კიდევ ერთმა სასიქადულო მამულიშვილმა დატოვა ეს წუთისოფელი. გარდაიცვალა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი, პედაგოგიკის დოქტორი იზოლდა (ნანული) ბურძგლა. იგი იყო გაზეთ „მამული, ენა, სარწმუნოების“ მთავარი რედაქტორი.**

**დაიბადა 1940 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ეწერში. 1959 წელს დაამთავრა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის საშუალო სკოლა. 1960 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მან განვლო საინტერესო და ნაყოფიერი ცხოვრების გზა. სხვადასხვა დროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იყო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. თავის პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, ხანდაზმულ ასაკშიც მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.**

**მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან და თან გაიყოლა ერთადერთი ქალიშვილის, თბილისის სასულიერო აკადემიის საეკლესიო არქიტექტურის ფაკულტეტის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებული კურსდამთავრებულის** ლიმი ბურძგლას **დიდი სიყვარული, რომელიც ამჟამად იტალიაში ცხოვრობს და ინტერნეტის საშუალებით თვალცრემლიანი ადევნებდა თვალს დედის დაკრძალვას...**

**ნანული ბურძგლას სახელი დიდხანს დარჩება მეგობრების, ახლობლების, მოსწავლეებისა და სტუდენტების გულებში.**

**მეგობრები და კოლეგები.**

## კრიმინალი

# პოლონეთში ქართველი ქურდები დაიჭირეს

**პოლონეთში, ქალაქ ლოძის პოლიციამ ქურდობის ბრალდებით საქართველოს სამი მოქალაქე დააკავა. პოლონეთის პოლიციის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია, რომ 35, 46 და 43 წლის ქართველებმა 2023 წლის ნოემბრის ბოლოდან, 2024 წლის 10 იანვრამდე რამდენიმე მანქანიდან ძვირფასეულობა, საბუთები და ნაღდი ფული მოიპარეს.**

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ისინი მანქანების საბურავებს განგებ აზიანებდნენ, შემდეგ კი ნივთებს იპარავდნენ. საქართველოს მოქალაქეები ერთ-ერთი ასეთი დანაშაულის ფაქტზე დააკავეს. ისინი ამჟამად 3-თვიან წინასწარ პატიმრობაში იმყოფებიან.

# სარფის საბაჟოზე კოკაინის შემოტანის ფაქტი აღკვეთეს!

**საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების ჩართულობით, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „კოკაინის“ საქართველოს ტერიტორიაზე, უკანონო შემოტანის მცდელობის ფაქტი აღკვეთეს.**

სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის კონტროლის ზონაში შემოვიდა თურქეთის მოქალაქე ე.ი. ამ მოქალაქის ფიზიკური და ბარგის დათვალიერების შედეგად, ერთ შეფუთვად დაფასოებული 100,22 გრამი „კოკაინი“ აღმოაჩინეს.

# განზრახ მკვლელობის გამო პროკურატურამ ორ პირს ბრალდება წარუდგინა

**საქართველოს პროკურატურამ რუსთავში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი ოთხი პირის განზრახ მკვლელობის და ერთი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვის ფაქტზე, რამაც 4 ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია ორ პირს ბრალდება წარუდგინა,** – ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ რუსთავში მდებარე ე.წ. „სტამბულის ბაზრის“ ტერიტორიაზე ბრალდებულმა, რომელიც ძმის მიერ დაუდევრად შენახულ იარაღს დაეუფლა, შურისძიების მოტივით, ცეცხლსასროლი იარაღიდან არაერთი გასროლის შედეგად ხუთ პირს სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებები მიაყენა.

**„მიყენებული დაზიანებების შედეგად ოთხი პირი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ერთი პირის გადარჩენა დროული სამედიცინო დახმარების შედეგად მოხერხდა. სამართალდამცველებმა ორივე პირი 9 თებერვალს დააკავეს. ერთ პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით და 19, 109-ე მუხლის „ბ“ და „ლ“ ქვეპუნქტებით (განზრახ მკვლელობა და განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ, ისეთი საშუალებით რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მეორე პირს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლით წარედგინა (ცეცხლსასროლი იარაღის დაუდევრად შენახვა, რითაც შეიქმნა პირობა მისი სხვა პირის მიერ გამოყენებისათვის, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია), რაც სასჯელის სახედ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა, ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს“...**

# უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს.

# ბაკურიანში სასტუმრო დაიწვა

**დაბა ბაკურიანში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში ღამით ხანძარი გაჩნდა. არსებული ინფორმაციით, 3-სართულიანი სასტუმრო დაკეტილი იყო და შენობაში დამსვენებლები არ იმყოფებოდნენ.**

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა. ადგილზე მეხანძრე-მაშველები იყვნენ მობილიზებულნი. ხანძარი უკვე ლიკვიდირებულია.

# ირაკლი ფირცხალავა მოლდოვაში უკვე მეორედ არ შეუშვეს

**უკვე მეორედ, ქართული წარმოშობის რუსი მომღერალი ირაკლი ფირცხალავა მოლდოვაში არ შეუშვეს. ინფორმაცია ფირცხალავამ თავადვე გაავრცელა და აღნიშნა, რომ 10 თებერვალს მისი მონაწილეობით კიშინიოვის ერთ-ერთ ღამის კლუბში დაგეგმილი კონცერტი აღარ გაიმართებოდა.**

შეგახსენებთ, ირაკლი ფირცხალავა მოლდოვაში გასული წლის დეკემბერშიც არ შეუშვეს.

# გაცვლიან ამერიკელ ჟურნალისტს ხანგოშვილის მკვლელში?

**რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა თქვა, რომ არ გამორიცხავს Wall Street Journal-ის რეპორტიორის ევან გერშკოვიჩის შეერთებულ შტატებში დაბრუნებას, იმ პირობით, რომ აშშ გადადგამს „საპასუხო ნაბიჯებს“.**

რუსეთი გერშკოვიჩს ამერიკელებთან ჯაშუშობაში ადანაშაულებს, რასაც აშშ უარყოფს. თითქმის ერთი წელია, ის ციხეშია. Fox News-ის ყოფილმა წამყვანმა ტაკერ კარლსონმა ინტერვიუს დროს პუტინს სთხოვა კეთილგანწყობის ნიშნად მისი გათავისუფლება.

**„არ გამოვრიცხავ, რომ ადამიანი, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ბატონი გერშკოვიჩი, შეძლებს სამშობლოში დაბრუნებას. საბოლოო ჯამში, აზრი არ აქვს მის რუსეთში ციხეში შენახვას. ჩვენ გვინდა, რომ ამერიკულმა სადაზვერვო სააგენტოებმა განიხილონ, თუ როგორ შეუძლიათ წვლილი შეიტანონ ჩვენი სადაზვერვო სააგენტოების მიზნებში. ჩვენ მზად ვართ დიალოგისთვის. უფრო მეტიც, დიალოგი გრძელდება. და იყო მრავალი წარმატებული მაგალითი ასეთი დიალოგისა, რომელიც წარმატებით დასრულდა. ამ შემთხვევაში ალბათ ასე იქნება, მაგრამ ჩვენ უნდა შევთანხმდეთ“,** – უპასუხა პუტინმა.




პუტინმა ნათლად აჩვენა, თუ რა შეიძლება იყოს რუსეთის სპეცსამსახურების ინტერესები. მან გაიხსენა კაცი, რომელიც „იხდის სასჯელს აშშ-ის მოკავშირე ქვეყანაში“.

**„ამ კაცმა პატრიოტული მიზეზების გამო ბანდიტის ლიკვიდაცია მოახდინა ევროპის ერთ-ერთ დედაქალაქში“,** – თქვა პუტინმა.

სავარაუდოდ, ის გულისხმობდა ვადიმ კრასიკოვს (ასევე ცნობილია როგორც ვადიმ სოკოლოვი). მას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი გერმანიაში ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობის გამო. ხანგოშვილი საქართველოს მოქალაქეა, ის ჩეჩნეთის მეორე ომში რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა.

გერმანიის სასამართლომ დაასკვნა, რომ რუსეთის სამთავრობო უწყებებმა კრასიკოვს დაავალეს ხანგოშვილის მოკვლა, რომელიც იმ დროს გერმანიაში ცხოვრობდა და თავშესაფრის მინიჭების გადაწყვეტილებას ელოდა. ამის შემდეგ კრასიკოვმა ვადიმ სოკოლოვის სახელით საბუთები მიიღო და შენგენის ვიზაზე მიმართვა გააკეთა. 2019 წლის აგვისტოში მან ბერლინში ხანგოშვილი რამდენიმე გასროლით მოკლა.



## უძველესი ქალაქ-ნაკრძალის ახალი პერსპექტივები

**კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალს ესტუმრა და ბოლო პერიოდში ჩატარებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მომდევნო ეტაპის განხორციელებაზე მუზეუმისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელა.**

სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ აზნაურაშვილი, მუზეუმის დირექტორი ბადრი გასპაროვი, მუზეუმ-ნაკრძალისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაქვემდებარებულ მუზეუმ-ნაკრძალებში კულტურისა და სპორტის სამინისტრო უახლოეს მომავალში არსებული სერვისების განვითარებასა და ახალი სერვისების დანერგვას გეგმავს. ამისათვის, საპილოტედ შეირჩა უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი, სადაც კერძო სექტორთან თანამშრომლობითა და სამინისტროს მონაწილეობით სხვადასხვა ტიპის განახლებული სერვისები დაინერგება.



## წალენჯიხელმა ბიჭებმა კანადაში, ნიკო კვარაცხელიას სახელობის საფეხბურთო გუნდი შექმნეს

გუნდის სახელია FC NIKO. აღნიშნულ ამბავს სოციალურ ქსელში ნიკოს დედა იზა ომაძე ეხმაურება.

**„საოცარი ადამიანები, როგორი ემოციურია. წარმატებები, საუკეთესო ადამიანები გვყავს ემიგრაციაში, წალენჯიხა ფორევერ... ძალიან ემოციურია. გამარჯვების გზებზე გევლოთ!..“** – წერს იზა ომაძე.

## კადიროვის შვილმა მედალი მიიღო შეჯიბრში, რომელშიც არ მონაწილეობდა!

**ჩეჩნეთის ლიდერის რამზან კადიროვის შვილმა, 16 წლის ადამ კადიროვმა დუბაიში გამართულ ე.წ. UAE SWAT Challenge-ის შეჯიბრზე, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია, მედალი მიიღო.**



ამ შეჯიბრის მეოთხე დღეს საუკეთესო შედეგი ახმატის გუნდმა აჩვენა, რომელიც ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური პოლკის მებრძოლებისგან შედგებოდა. The UAE SWAT Challange – არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატია ძალოვანი სტრუქტურების სპეცრაზმებს შორის. მას სპეცრაზმის ოლიმპიადას უწოდებენ. მასში მონაწილეობას სხვადასხვა ქვეყნების სპეციალური ძალების წარმომადგენლები იღებენ და გუნდები ერთმანეთს ტაქტიკური უნარების გამოყენებაში, ინტელექტუალურ კონცენტრაციასა და ფიზიკურ გამძლეობაში ეჯიბრებიან. ადამ კადიროვი, რომელსაც შეჯიბრში მონაწილეობა არ მიუღია, ჯილდოს ასაღებად სცენაზე პირველი ავიდა. ვიდეოს ჩეჩნეთის პარლამენტის თავმჯდომარე მაგომედ დაუდოვი აქვეყნებს და წერს, რომ ადამ კადიროვი ახმატის მებრძოლებს დუბაიში გამართულ შეჯიბრზე „მხარს უჭერდა“. სახელმწიფო სააგენტო გროზნოინფორმის თანახმად, ჩეჩნეთის ლიდერის შვილი დაჯილდოებაზე წარმოდგენილი იყო, როგორც „უშიშროების დეპარტამენტის უფროსი“. ეს თანამდებობა ადამ კადიროვმა გასული წლის შემოდგომაზე მიიღო, მას შემდეგ, რაც წინასწარი დაკავების იზოლატორში ყურანის დაწვისთვის დაკავებულ ნიკიტა ჟურაველს სცემა.

## NASA-ს ახალი მისია – უხილავი სამყარო



**NASA-მ დედამიწის ზღვის მიკროსკოპული სიცოცხლისა და პაწაწინა ატმოსფერული ნაწილაკების შესასწავლად ახალი მისია დაიწყო. ახალი სატელიტი ორბიტაზე რაკეტამ კანავერალის კონცხიდან გაიყვანა.**

მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ ახალი სატელიტის დახმარებით უკეთ გაერკვევიან იმაში თუ რა გავლენას ახდენს ოკეანესა და ატმოსფეროში მიმდინარე პროცესები პლანეტაზე. კერძოდ, მისია დაადგენს აეროზოლების, ღრუბლებისა და ფიტოპლანქტონის, როგორც ოკეანის სიჯანსაღისა და გლობალური დათბობის ინდიკატორებს. მისია 3 წელზეა გათვლილი, თუმცა სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მას საკმარისი საწვავი აქვს 10-წლიანი მუშაობისთვის.

## საფრანგეთის მუზეუმებს ვანდალი აქტივისტები შეესივნენ




**და ვინჩის „მონა ლიზას“ შემდეგ ფრანგი ეკოაქტივისტების მორიგი სამიზნე კლოდ მონეს ნამუშევარი „გაზაფხული“ გახდა.** ლიონის სახვითი ხელოვნების მუზეუმში მოძრაობა „საკვების კონტრშეტევა“-ს წარმომადგენლებმა ნახატს წვნიანი შეასხეს. აქტივისტები ეკოლოგიურ პრობლემებზე უმოქმედობას აპროტესტებდნენ.

**„ეს იქნება ერთადერთი გაზაფხული, რომელიც დაგვრჩება“,** – აცხადებდნენ ეკოაქტივისტები. „მონა ლიზასგან“ განსხვავებით, კლოდ მონეს ნახატს ბარიერული შუშა არ იცავდა და უცნობია, რამდენად დაზიანდა ნამუშევარი. ორივე აქტივისტი ქალი დაკავებულია.

## პუტინის გზა 10 წლიდან დღემდე



**60 წელი პუტინის ცხოვრებიდან. დიქტატორის გზა 10 წლიდან დღემდე – პოლონელმა რეჟისორმა პატრიკ ვეგამ გადაიღო. პოლიტიკურ თრილერში აღწერილია 10 წლის პუტინის საქართველოში ცხოვრებისა და პოლიტიკური კარიერის მთავარი დეტალები.**

მათ შორისაა ჩეჩნეთის ომი, ნორდ-ოსტისა და ბესლანის ტრაგედიები, უკრაინა, ბუჩა, ირპინი და მარიუპოლი. ფილმი სახელწოდებით „პუტინი“ ე.წ. დიფ ფეიკის ტექნოლოგიით არის გადაღებული; ხელოვნური ინტელექტის ალგორითმმა საშუალება მისცა რეჟისორს რომ მსახიობის გამოსახულება და მიმიკები, პუტინის სახის მსგავსი ყოფილიყო. უკრაინასა და პოლონეთში დახურულ ჩვენებებზე მაყურებლის ნაწილმა პატრიკ ვეგას ფილმი უკვე ნახა. ფილმ „პუტინის“ საერთაშორისო პრემიერა გაზაფხულზე შედგება.

## მილიარდერი, რომელმაც რუსეთის მოქალაქეობაზე უარი თქვა

**ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სანქცირებული რუსი ოლიგარქის ალიშერ უსმანოვის ყოფილმა პარტნიორმა, ბიზნესმენმა ვასილ ანისიმოვმა, რომელიც მეშვიდე მილიარდერია, რუსეთის მოქალაქეობაზე უარი განაცხადა.**

როგორც ირკვევა, მან რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობაზე უარი ჯერ კიდევ 2022 წლის სექტემბერში თქვა, თუმცა ამის პარალელურად, იგი რუსეთში საქმიან ვიზიტებს კვლავ აგრძელებდა.

გამოცემის თანახმად, ანისიმოვი ხორვატიისა და დომინიკის რესპუბლიკის მოქალაქეა. მან დომინიკელთა პასპორტი – 60 000 ამერიკულ დოლარად 1990-იან წლებში, ხოლო ხორვატიის 11-მილიონიანი დოლარის ინვესტიციის ჩადების შემდეგ 2003 წელს მიიღო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წერეთლის №116 (დიდუბე პლაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,

ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 14 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6543; ევრო - 2.8584;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3455;
100 რუბლი - 2.9213; თურქული ლირა - 0.0865;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5613;
1000 სომხური დრამი - 6.5798

**ამინდი 12 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +3, | დღე +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -4, | დღე +15 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +7, | დღე +23 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -1, | დღე +17 |
| თბილისი: | ღამე | +5, | დღე +20 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge